



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.

სქელის მოწერა მიიღება: თფილისში - «წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვლის» რედაქციაში, თბილისის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: ისტორიული მატერიალიზმი, ფ. მახარაძისა. - სხვა-და-სხვა ამბები. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარ გარეთ. - რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში, ი. გომართელისა. - მე მისთვის ვტყვი, ლექსი დარია ხუნდაძისა. - ის იყო, მოთხრობა ან. ჩეხოვისა. - ინტელიგენცია და ეროვნება, ი. ფარინისა. - სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი. - რობერტ კოხის სიტყვა ლონდონის კონგრესზე. - წერილები რედაქციის მიმართ.

ისტორიული მატერიალიზმი.

Tantum possumus, quantum scimus.

II.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბ-ნი ჯორჯაძემ უარყო ცხოვრების პროცესის ერთა-ერთი შესაძლებელი მეცნიერული განმარტება; ნაცვლათ ამისა მან გამოაცხადა, რომ ცხოვრების მიმდინარეობა, პროცესი, დამოკიდებულია ადამიანთა სურვილზე. ამნაირათ ბ-ნი ჯორჯაძემ საზოგადოებრივი მეცნიერებიდან გამოდევნა ობიექტივიზმი და ნაცვლათ იმისა იქ გაამეფა უკიდურესი სუბიექტივიზმი. ეს უდრის საზოგადოებრივი მეცნიერების სრულიად გაუქმებას, ლიკვიდაციას. მართლაც, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოვლენანი არ ექვემდებარებიან არავითარ კანონს, თუ ყოველივე ეს დამოკიდებულია მხოლოდ ადამიანის სურვილზე, იმ შემთხვევაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, ეკარგება ყოველგვარი ნიადაგი; მასში ყოვლად შეუძლებელი ხდება არა თუ რაიმე სისტემის შეტანა, არამედ უბრალო წესრიგის დამყარებაც კი. ეს თხოულობს ცოტა უფრო დავრილებით განხილვას.

როგორც ვიცით, ბ-ნი ჯორჯაძე ისტორიულ მატერიალიზმს ამტყუნებს იმაში, რომ ამ მოძღვრებით ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენანი ჩნდებიან და ვითარდებიან ობიექტიურათ, აუცილებლობის კანონთა მიხედვით; ასეთი შეხედულება კი, მისი აზრით, უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში, ქმნის მას (პიროვნებას) «ურმის თვლის ჩხირათ». მაშასადამე, ინტელიგენციას ეცლება ყოველგვარი ნიადაგი პრაქტიკული მოქმედებისათვის. და სწორეთ ამ უკანასკნელმა გარემოებამ ჩააყენა ბ-ნი ჯორჯაძე ასეთ გასაჭირ მდგომარეობაში. ის მსჯელობს ამნაირათ: ხალხი შედგება ორი არა-თანასწორი ნაწილისაგან: ერთი მხრით დგას უბრალო ბრბო, გაუგებარი და ბრიყვი (უმრავლესობა), ხოლო მეორე მხრივ —

გონიერ ადამიანთა კრებული, ინტელიგენცია (უმცირესობა). ეს უკანასკნელი ნაწილი თავის სურვილისამებრ განაგებს პირველს, ე. ი. ბრბოს, ასე რომ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება გონიერ ადამიანთა სურვილების განხორციელებას წარმოადგენს და მეტს არაფერს. აქ ბურთი და მოედანი ინტელიგენციის სრულ მფლობელობაშია. მაგრამ ამ ნეტარებიდან ბ-ნი ჯორჯაძე გამოყავს შემდეგ ამბავს: მას ეუბნებიან, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება აუცილებლობის კანონს, რომ ყოველივეს, რაც კი მასში ხდება, ამ აუცილებლობის დალი ასვია. ამის გაგონება ბ. ჯორჯაძეს მეტათ მწარე ფიქრებს გვრის. ის ამბობს: რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება აუცილებლობის კანონს, ამიტომ მასში «არავითარი, აზრი, მიზანი და ლტოლვილება არ არისო». ჩვენ, ე. ი. ინტელიგენციამ რათ უნდა შევუწყვათ ხელი ამ უაზრო და უმიზნო ცხოვრებას, სადაც მოქმედობს მხოლოდ აუცილებლობის კანონი? აქედან ბ-ნი ჯორჯაძე იმ დასკვნამდე უნდა მისულიყო, რომ ბევრათ უმჯობესია ინტელიგენცია გულზე ხელდაკრფილი შეეყურებდეს მომავალს და პრაქტიკული მოქმედებისათვის სრულებით ხელს არ ანძრევდეს, რადგანაც, რაც მოსახდენია, უიმისოთაც კარგათ მოხდება. და თუ იგი ამ დასკვნამდე არ მივიდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გადაჭრით უარყო ცხოვრების ობიექტიური პროცესი. ამით მან ვითომც იხსნა პიროვნება დამცირებისაგან, იცნა მისი როლი ისტორიაში. ასე გონია თვით ბ. ჯორჯაძეს. მაგრამ ასეა კი ნამდვილათ?

ბ-ნი ჯორჯაძე გვეუბნება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი კანონი არ არსებობს, გარდა ადამიანის სურვილისა. მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე საზოგადოებაში გავრცელებულია სხვა-და-სხვა ბოროტება და ავაზაკობა, როგორც კაცის კვლა, ლალატი, ქურდობა და სხვ.; რა თქმა უნდა, ყველა ამის მოსპობა აუცილებლათ საჭიროა საზოგადოების კეთილ-

დღეობისათვის. ვნახოთ ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს ბ. ჯორჯადის ინტელიგენცია: იგი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს იმას, თუ რამ გამოიწვია, ან რა პირობებში შექმნეს საზოგადოების ესა თუ ის ბიწიერება; არა, იგი პირდაპირ მოინდომებს ამ ბიწიერებათა აღმოფხვრას. ვთქვათ, რომ, რაღაც სასწაულის ძალით, რაც, რასაკვირველია, არასოდეს არ მოხდება, ინტელიგენცია აღწევს თავის მიზანს: ესა თუ ის ავაზაკობა თუ ბოროტება მისი სურვილისამებრ მოისპო საზოგადოებაში. მაგრამ ადამიანის სუბიექტიურ სურვილებს ხომ საზღვარი არა აქვთ. თქვენ იმას ნუ კითხულობთ, თუ რათ ეცვლება მას ასე ხშირათ სურვილები. თქვენ ძალაუნებურათ უნდა დათანხმდეთ მხოლოდ იმაში, რომ ყველა ეს სურვილები უნდა განხორციელდეს. ამნაირათ, თანახმათ ასეთი მსჯელობისა, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ არსებული წეს-წყობილება შეიძლება ვისმეს სურვილით სრულიად სხვა წეს-წყობილებაზე იქმნას შეცვლილი, წარმად და გაქრება მისი მიხედვით. მაგრამ თუ ეს ასეა, რა არის იმის თავდები, რომ მე ხვალვე არ მოვისურვებ იმას დამხობას, რაც დღეს შევქმენი? მე თუ არ მოვიწოდებ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამას ვინმე სხვა მოინდომებს. ახლა ერთი მითხარით: თუ დღევანდელ ჩემ ნამოქმედარს მევე ვშლი ან ვსპობ ხვალინდელი ჩემი მოქმედებით, ან სხვისი მოქმედება შვრება ამ სიკეთეს, მაშინ აბა რაღა მნიშვნელობა ან ფასი უნდა ქონდეს ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას საზოგადოებისთვის? ამიტომ დაბოლოს ბ-ნ ჯორჯადის ინტელიგენცია ძალაუნებურათ იმ დასკვნამდე მივა, რომ უმჯობესია ისევე გულზე ხელ-დაკრფილები შევყურებდეთ მომავალს, ვინც რაიმე მოვიმოქმედოთ. ბ-ნმა ჯორჯადემ უარყო ობიექტივიზმი იმიტომ, რომ, რაც შეიძლება, ფართო სარბიელი მიენიჭებია პიროვნებისთვის და ნაცვლათ ამისა მიახწია იმას, რომ მას დაუკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

განვიხილოთ ახლა, თუ რაში მდგომარეობს პიროვნების როლი ისტორიაში თანახმათ ისტორიული მატერიალიზმისა, რომელსაც ასე დაუშინებია ბ. ჯორჯადემ. ამ მოძღვრებით, საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებრივი პროცესისა, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს. მაგრამ რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრება შესდგება კერძო ადამიანთა მოქმედებათაგან, ამიტომ ეს მოქმედებანი ამავე კანონებს უნდა ექვემდებარებოდნენ. შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ ამ დაქვემდებარებით ისპობა ადამიანის თავისუფლება და მასთან ერთათ მისი ასეთი თუ ისეთი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ რა არის ეს თავისუფლება, რა არის აუცილებლობა? როგორ შევარგოთ ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნებანი? ადამიანი დადის, ისვენებს, ჭამს, და მას გონია, რომ ამას იგი ჩადის თავისუფალი ნებით, თავისი სურვილით. მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მან ან არ იცის და ან ყურადღებას არ აქცევს, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ იგი დადის, ისვენებს და სხ. ერთი სიტყვით, სანამ ჩვენ არ დავკვირვებთ თავის მოქმედებას და არ შევვიგნია იგი, როგორც აუცილებელი შედეგი წინა მოვლენათა, გვგონია, რომ ჩვენ სრულიად თავისუფლათ ვმოქმედობთ. მაგრამ როცა შევიგნებთ, მაშინ ჩვენი თავისუფლება ნათლათ წარმოვიდგება, რო-

გორც პირდაპირი აუცილებლობა. ამნაირათ თავისუფლება და აუცილებლობა ერთიერთმენეთში გადადის: ჩვენ თავისუფალი გვგონია თავის თავი იმდენათ, რამდენათ არ გვესმის ან არ შევვიგნია ჩვენ მოქმედებათა აუცილებლობა. მაგრამ მეორე მხრით ჩვენი ნამდვილი თავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ვივინებთ, როგორც თავის, ისე სხვების მოქმედებათა მიზეზებს. მაშასადამე აქედან გამოდის, რომ „აუცილებლობა კრთათ ერთი საამქლო თავის თავისუფლების“. ასეთი დამოკიდებულება თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის. ჩვენთვის აქ იმ დედა-აზრის შეთვისებაა საჭირო, რომ „ადამიანის თავისუფალ მოქმედებას საფუძვლიათ უდევს აუცილებლობა“. როცა ჩვენ ვიცით, რომ ესა თუ ის მიზეზი, ანუ ესა თუ ის მოქმედება აუცილებლათ გამოიწვევს განსაზღვრულ შედეგებს, ჩვენს მოქმედებას მხოლოდ მაშინ ეძლევა საფუძველი. ასევე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებაც. ჩვენ მოქმედებას იქ იმდენათ აქვს საფუძველი, რამდენათაც ჩვენ გვესმის ან შეგნებული გვაქვს საზოგადოებრივ მოვლენათა აუცილებლობა. ადამიანი თავიდან იცილებს ბუნების ამა თუ იმ მოვლენის მანვე შედეგებს, როცა იცის მისი აუცილებელი მოქმედება. როცა ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ესა თუ ის მოვლენა აუცილებლათ გამოიწვევს განსაზღვრულ შედეგს, ჩვენ შეგვიძლია თავის მოქმედება მივმართოთ იქეთკენ, სადაც მას სასურველი გავლენა ექნება. ე. ი. ჩვენ შეგვიძლია იმდენათ, რამდენათაც ვიცით: tantum possumus. quantum scimus! ამ ნაირათ შეგნებული ადამიანისთვის სასურველი იგივე აუცილებელია\*).

ასე და ამ გვარათ ისტორიული მატერიალიზმი გვაწვავს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებელია მომავლის შეტყობა, რადგანაც იგი აუცილებელი შედეგია წარსულის და აწმყოს. ხოლო ამისთვის ერთათ ერთ უტყუარ საშუალებას შეადგენს თვით-ცნობიერების განვითარება. თვით-ცნობიერება ის იარაღია, რომელსაც იძლევა ისტორიული მატერიალიზმი. ამიტომ ყველა ისინი, ვინც უარყოფს ისტორიულ მატერიალიზმს, უნდა უარპყოს ეს თვით-ცნობიერებაც, და მასთან ერთათ უნდა უარპყოს აგრეთვე პიროვნების ყოველგვარი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, როგორც ამბობდა კიდევ მილლი, „ამა თუ იმ ქეშმარიტების აღმოჩენა შეუძლებელია, სანამ არ აღმოჩენილია სხვა ქეშმარიტება; ესა თუ ის საზოგადოებრივი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მოყვეს სხვებს, და არა წინ მიუძღოდეს იმათ\*\*); მაგრამ თვით ამის ცოდნა, თვით ამ აუცილებლობის კანონის შეგნება აძლევს ნამდვილ საფუძველს ჩვენ მოქმედებას.

ამნაირათ, თუ ყველა ზევით ნათქვამს თავს მოეუყრით, გამოვა, რომ ცხოვრების პროცესის ობიექტიური განმარტება, რომელსაც იძლევა ისტორიული მატერიალიზმი, შეადგენს საზოგადოებრივი მეცნიერების არსებობის ერთათ ერთ საფუძველს, ურომლისათ მისი არსებობა ყოვლად წარმოუდგენელია. მეორე მხრით ცხოვრების ასეთი ახსნით ეძლევა პიროვნებას ნამდვილი მნი-

\*) Бердяевъ Субъект. и объект., стр 54.  
 \*\*) Система Логик, т. II, гл. 491.



შენელობა, ე. ი. თუ რა ძალას წარმოადგენს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში.

ფ. მახარაძე.

სხვადასხვა ამბები.

26 ივლისს, ნაშუალამევის 3 1/2 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა თფილისის რკინის გზის სადგურზე საქონლის საწყობ შენობას. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ არ იცინ. გადაიწვა თიოქმის მთელი შენობა და მთლიან საქონელი. ზარალი დიდა. ცეცხლის ქრობის დროს სასიკვდილოთ დაშავდნ საქონლის სადგურის ღამის დარაჯები რაჭის მაზრის მცხოვრებნი დავით ხვედელიანი და ნესტორ ლობჯიანიძე. ორივენი რკინის გზის საავადმყოფოში იქნენ გაგზავნილნი და იქ დიდი ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალენ. არც ერთი წყლის მილი შენობისა არა ყოფილა რიგიანათ მომართული, არ ყოფილა არც საკმაო წყალი, და ყველა ამან ხელი შეუშალა ცეცხლის მქრობელ რაზმს დროზე ჩაქრო ცეცხლი.

ზარალი, როგორც ამბობენ, აღემატება 300,000 მანეთს. დამწვარი და დაკარგული საქონლის უმეტესი ნაწილი დაზღვეული ყოფილა.

დღეს, 29 ივლისს, ღურგალთა სახელოსნოში, მაღა თოვის კუნძულზე, დანიშნულია კრება ღურგალთა ამხანაგობისა, რომელიც გადაიდვა წარსულ კვირას წვერთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა თხოვა განათლების მინისტრს იმის განმარტება, შესაძლებელია თუ არა დაკმაყოფილებულ იქმნას მშობელთა შუამდგომლობანი, რომ განთავისუფლებულ იქმნან განმეორებითი ეგზამენებისაგან (переэкзаменовки) ის შევირდები, რომელთაც ასეთი ეგზამენები დანიშნული ჰქონდათ აგვისტოსთვის გიმნაზიის პირველ კლასში ლათინურ ენაში და მესამე კლასში ბერძნულ ენაში და გადაყვანილ იქმნან ასეთი შევირდები შემდეგ კლასში უეგზამენოთ, თუ სხვა საგნებში იმათ ექნებათ დასაკმაყოფილებელი ნიშნები, და აგრეთვე დაენიშნოს განმეორებითი ეგზამენები იმ შევირდებს, რომლებიც დატოვებულ იქმნენ იმავე კლასებში იმის გამო, რომ ცუდი ნიშნები ჰქონდათ სამ საგანში, და ამ საგნებში ლათინური და ბერძნული შედიოდა. განათლების სამინისტროს მმართველმა შეატყობია ოლქის მზრუნველს, რომ მშობელთა ეს შუამდგომლობანი უნდა დაკმაყოფილებულ იქმნანო („კავკ.“).

თფილისის პოლიცემისტერმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა საკანდიტროებში მომუშავეთა თხოვნა იმის შესახებ, რომ კვირა-უქმე დღეებში ისინი თავისუფალნი იყვნენ მუშაობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობის ხარჯთაღრიცხვიდან ჩანს, რომ ქალაქის სასწავლებლებს მომავალ წელში მოუხდებათ სულ ერთათ 160.839 მან. აქედან სახელოსნო სკოლას—42.357 მან., პირველ დაწყებით სავაჟო სკოლებს—109.295 მ. და ორ პირველ დაწყებით საქალებო სკოლებს—9.181 მან.

თფილისის ნოქრების საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება მოქმედებს დაიწყებს 1 სექტემბრიდან.

თფილისის კომერციულ სასწავლებელს წელს ემატება მესამე კლასიც.

თფილისის ვაქართა საზოგადოება აარსებს თფილისში სავაქრო სასწავლებელს.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება რუსეთის იმპერიაში ნავთსადგურებში გადასახადების შეცვლის შესახებ. სხვათა შორის, ახალი კანონით მეოთხედი კაპეიკი ფუთზე გადახდებოთ მათ, ვინც გაიტანს ან შემოიტანს სხვადასხვა ხორბლეულობას, თივას, ჩილას, ადგილების სასუქ ნივთიერებათ, თიხას, ცარცს, კირს, გიპსსა, ცემენტსა და ალუმინატს, ქვებს (მარმარილოს ქვის გარდა), ქვა-ნახშირს, კოქსს, დაუწმენდელ ნავთს, მარგანესს, უბრალო აგურს, მარილს და შეშას; ნახევარი კაპეიკი ფუთზე ყოველგვარ თესლეულობას, კანაფს, სელს, ჩილას, ქაქსს, ფქვილს, პურის დაღერლილ მარცვალს, ტყის მასალას (გარდა ძვირფასი ხეებისა) და თითო კაპეიკი ყველა დანარჩენ საქონელს. ახალი წესით გადახდევინებას დაიწყებენ 1902 წლის 1-ლ იანვრიდან.

27 ივლისს, საღამოს 10 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ონანოვის ხე-ტყის სახერხავ ქარხანას, რომელიც სრულიად დაიწვა.

სატახტო ვაზეთების სიტყვით, უმაღლეს სასწავლებლებში ამის შემდეგ ურიების მიღება შემდეგი პროცენტით იქნება განსაზღვრული: უნივერსიტეტში მიიღებენ 3% საერთო რიცხვისას (აქამდე ღებულობდნ 5%) და მაღალ ტექნიკურ სასწავლებელში მხოლოდ 2%; პეტერბურგის მაღალ ტექნიკურ სასწავლებელში ურიებს სრულიად არ მიიღებენ.

გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ქუთაისის დეპუტატთა სათავადაზნაურო საკრებულოში და უმართებელეს სენატში დროებით შეჩერებულ იქმნას საქმეთა წარმოება სამეგრელოს მაღალ წოდებთა რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო ღირსებათა მინისტრის თაობაზე.

ახალ არჩევნებამდე და ამ არჩევანის დამტკიცებამდე ქუთაისის გუბერნატორს ბათუმის ქალაქის თავის მოადგილეთ დაუტოვებია გამგეობის წევრი ი. ა. ივანოვი.

ქუთაისის ნოქრებს განუზრახავთ დააარსონ ადგილობრივ ნოქართა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება.

სახელმწიფო ადგილების იჯარა და ტყის წესდების დარღვევისთვის გადაწყვეტილი ჯარიმები არავის შეაქვს თურმე თავის ნებაყოფლობით; ამიტომ განკარგულება მოუხდენიათ, რომ ყოველნაირი სასტიკი ზომები მიიღონ ამ გადასახადის მოსაკრფათ.

გზათა სამინისტროს შეუწყნარებია თხოვნა იმის შე-  
სახებ, რომ თფილისის რკინის გზის სასწავლებლებში გა-  
იხსნას პარალელური განყოფილებანი.

კავკასიის გამოფენის კომისარი აცხადებს, რომ, რო-  
გორც წინეთა გვქონდა გამოცხადებული, გამოფენა გა-  
იხსნება 20 აგვისტოსო.

როგორც უკვე გამოცხადებული გვქონდა, 15 ივლი-  
სიდან ქ. თფილისში, ერევნის მოედანზე, თამაშშევის ქარ-  
ვასლაში, გაიხსნა „**შრომის ბიურო**“, რომლის მიზანია  
შეძლებისა დაგვართ გააწესრიგოს შრომის მოთხოვნი-  
ლება და მიწოდება. ბიურო ეცდება: 1) გაუწიოს შუამდგო-  
მლობა შრომის და სამუშაოს მიძებნელთ და მთავრობის  
ნება-დართვით დააარსოს მუშათა და ეზოს მცველთა არ-  
ტელები; 2) მიაწოდოს ყოველგვარი ცნობები მშრომელ  
ხალხს შრომისა და ხელ-შეკრულობის შედგენის შესახებ;  
ცნობების მიძვემი და ამხსნელი იქნება ვეჭილი, რომე-  
ლიც სულ მცირე სასყიდლით იკისრებს მშრომელი ხალ-  
ხის ინტერესთა დაცვას, ან კიდევ ბიურო გაგზავნის ხოლ-  
მე მსურველთ ვეჭილთა კომისიაში, რომელიც, შესაძლე-  
ბელია, მალე გაიხსნას. დროებით შემდეგი ფასია დადგე-  
ნილი რჩევა-დარიგებისათვის: 1) მუშებზე—15 კაბ., 2)  
მოსამსახურებზე—25 კ., 3) ბონებზე, გუვერნიორებსა  
და გუვერნანტკებზე და სპეციალურ მუშებზე—35 კ., 4)  
მკერვალ ქალსა და კაცებზე და ხელოსნებზე—35 კ., 5)  
მასწავლებელ ქალთა და კაცებზე, მსახიობებზე და გო-  
ნებრივი შრომის დანარჩენ წარმომადგენლებზე—50 კაბ.  
დამჭირავებელს ფული გადახდება კატეგორიის მიხედვით:  
20, 30, 45, 55 და 75 კაბ. სხვა-და-სხვა ცნობების შე-  
სატყობათ მუშა ხალხს გადახდება 10—25 კაბ., სხვებს  
25-დან 50 კაბ. დარიგებისთვის რჩევა-დარიგება და ცნო-  
ბების მიცემა უსასყიდლოა. დღიურ მუშას გადახდება  
თითო შაური, დამჭირავებელს კი 10 კაბ. ბიურო ეც-  
დება სინდიკისერი მუშები უშოვოს მსურველთ. მას-  
წავლებელ ქალთა და კაცთ ბიურო ალაგს ვერ აუ-  
ჩენს, თუ მათ სახალხო სკოლების დირექტორის მოწმო-  
ბა არ ექნებათ. ყველას თან უნდა ჰქონდეს საჭირო დო-  
კუმენტები. გარდა ამისა, მოსამსახურე მამაკაცებმა და  
დარაჯებმა უნდა წარმოადგინონ ორი ფოტოგრაფიული  
სურათი, ერთი მათგანი ბიუროში რჩება, მეორე ეგზავ-  
ნება თფილისის პოლიცემისტერს. ვისაც სურათი არ ექ-  
ნება, მისთვის ორ სურათს ბიურო 50 კ. გადიღებს. და-  
მჭირავებელთ ბიურო თხოვს თვითონ მობრძანდენ ხოლ-  
მე დამჭირავების ფორმალური მხრის დასაცავათ.

თფილისის გუბერნიის მემამულიებმა წინდაწინვე უნ-  
და შეატყობინონ ბიუროს, თუ რამდენი მუშა ჰქირდე-  
ბათ და აგრეთვე ვადა. «**შრომის ბიურო**» ზაფხულობით  
დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 1 1/2 საათამდე და სა-  
ღამოს 6-დან 8 საათამდე ღია; 1 ენკენისთვიდან კი დი-  
ლის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

**კორესპონდენციები.**

**ზისტავონი** (შოკანის მასრა). ბეჭა რამ აღბეჭდა  
ამ ასლო დროში ქართულ გაზეთების ფურცლებზე და ზეს-  
ტაფონის ცხოვრების «დედიღის» შესახებ და, იმედა, კი-  
დეკ ბეჭა აღბეჭდება. ამით დედიღის უნობა დაბა დეკს,

მეორე საუკუნის დასაწყისში, უკვლახთვის განხობილი შეიქმნა  
ასე გასინჯეთ, «**პოლეშია**» «**პოლეშიაზე**» ცხება ცნობილ  
მეწკაპურტის ვალთის ქვეშ, გარდა თვით მისი წკაპურტისა.  
ასე თუ ისე, ზესტაფონს, უნდა იცოდეს, რომ შენი ანუ-მა-  
რე ბ. მეწკაპურტის საზარტასო გამოსდა, ისევე ჰკიდა შენი  
სეკ-ბედა. მსოფლოთ ბოდიშს მოვიხდი მეწკაპურტის წინაშე,  
რადგან ესლა მის სამეფობელოში ვარ, და ვიტყვი ორ სი-  
ტყუას კიდეუ. მეტყუება ბ. ვ. ს—პირალი, რომ იგი ზესტა-  
ფონის ცხოვრების «დედიღის» თავის დასაწყისშივე შეუშინე-  
ბია და გაუბის კიდეუ გულგასუთქილი. მართლა და კეკაფე-  
რი გმირობას სიმართლისთვის მეომრის უგუქტეკა ბრძოლის ვე-  
ლიდან. ბ. ს—პირალი ამბობს «იეკიასში», რომ იგი თეატ-  
რის საზოგადოების გამგეობიდან გამოვიდა, რადგან სედაჯა  
იქ უსამართლობას. მეტყ ეს არის სიმართლისთვის ტანჯული  
გმირობა? მეტყ, რომ არა. ამ ამბავმა მომაგონა ასლა ჩუნი ნე-  
ტარ სსენებელი თეატრი. დემოტმა განუსკენოს, სედაც მარ-  
თაღნი განისკენებენ! ბეჭა სიმეფნება ასსოვს მისგან აქაურ  
საზოგადოებას.

კეთილი მოსასრება მოითხოვს, რომ ასალი თეატრი გა-  
კეთდეს ზედა-უბანში, როცა საშუალება აღმოჩნდება, რადგან  
ბაზარზე იქ არის. ჩემი აზრისაა «**ცნობის ფურცლის**» გო-  
რქაპონდენტის, თუმცა ის შორიდან უგაკენებს. «**ძველი თეა-  
ტრი**, —ბრძანებს იგი, —მოცილებული იყო თითქმის ბაზარს,  
რომელიც შეადგენდა თეატრის დიდ ნაგულეკანებასო».

ჯობია უფრო საგულესხმო ამბავზე გავიდე. აი, რას  
მოგასსენებთ: სმის უმეტესობით იქმნა ამოჩხუდი ბიბლიო-  
თეკათ «**კაცი**» და «**ქალს**» უარს ეყო.

ამის სამაგიეროთ ქალბედაც გვიყვას «**საკაყი**» საქმე:  
ალარ მიდინს სამკითხველოში, როცა წინათ მათი ბასია იქ არ  
მოაწუნდათ მკითხველებს. მაგრამ მკითხველის რიცხვი მანც  
ბეჭდა. ნამეტურ ეტანების «**ჩურომორ**, კუტინიკის» და «**იეკ-  
რას**»; ამ უკანასკნელს იმიტომ კითხვობენ უფრო, რომ  
იგი «**მწეუმის**» უწევს დიდ კონკურენციას თავისი სტატეობით.

უოკლედე ეს სასუამაროა, მაგრამ სამაგიეროთ შემდეგი  
ამბავი მეტაიო სამწუხაროა, რომ მეტი არა ვთქვა. 10 იე-  
ლისს ადგილობრივ სასამართლოში რამდენიმე კაცი იყო მა-  
ყურებელი შემდეგი სტენისა. ქ—ლი უჩიოდა ჭაჭ—ს გალა-  
ხვას. როდესაც ქ—ლი მოუყვა მსაჯულს (მსაჯულმა ქართუ-  
ლი არ იცის), რომ ჭაჭ—მა ასე და ასე გამოსწავა, თარჯი-  
მანმა გ. გ—მა უზასუსა მოამჩიანს ამავი კილოთი: «**რატომ  
უფრო მეტი არ გირტყა და ძლიერ არ გავლახავო; იცოდეს,  
კიდეუ ბეჭას გირტყამსო!**» ვიშ, ვიშ, სასამართლოში რა სი-  
ტყუები ისარჯებს! და მეტყ ვინ ისარჯავს ამ სიტყუებს? თარ-  
ჯიმანი—უძიროსი უფროსის დაუკითხავათ. ფილოლოგი რომ  
ვიყო, აკუსხნიდა ბ. გ—ანს, სიტყუას «**თარჯიმანი**» რას ნი-  
შნავს, იქნებ მასინ მანც გაიგებდა თავის მოკალეობას. მაგ-  
რამ მაკვირებს, რომ მეწკაპურტის «**აგენტებს**» კრთსელეს არ  
შეუხედათ ზემორე სსენებულ სასამართლოში და არ მიუწო-  
დებიათ «**საკენი**» მეწკაპურტისთვის.

ხეპარა.

**ხაშური.** ჩუნი დაბა აკერ ერთ წელზე მეტია, რაც მო-  
კლებული იყო ქართულ წარმოდგენებს სტენის უჭონლობის  
გამო. თუმცა რკინის გზის კლებში მოამოკება სტენა, მაგ-  
რამ იმას სომ ხადისისთვის არა სცადა!

14 ივლისს ბ. ვ. ი. მხელამის მეთაურობით, რომელ-  
მაც თავისივე შენობ ში მოაწყო სტენა, და ადგილობრივ სტე-



ნის მოყვარულთა დასმარებით სარგოვალ სტუდენტთა სასარგო-ლოთ გამართულ იქმნა რუსულ-ქართული წარმოდგენა და ცეკვა. წარმოდგენის: რუსულად «Теща въ домъ—все вверху дномъ» და ქართულად «ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ» და «ადვოკატი მელაძე» და წაიკითხეს რუსულად «Записки сумасшедшаго». წარმოდგენამ კარგათ ჩაიწა. რუსულ ვოდევილში კარგათ ჩატარეს თავიანთი როლები ქ. კვალევისამ და ბ. მაკარაშვილმა; ქართულში ქ. ჰალეივამ, ბ. მურმანშვილმა, მაკარაშვილმა და ნოზაძემ. წარმოდგენას ხალხი ბლომით დაესწრო.

ვინ-ანი.

რუსეთის ცხოვრება.

ამ წლის დამდეგს ქ. ოდესაში გაიხსნა მეტათ სიმბატიური დაწესებულება—ბუკდითი საქმის დავრდომილ მუშაკთა თავშესაფარი ზეშეინის სახელობაზე. ამ საქმის დაწესება ეგუთვნის გ.ზ. «ოდესის თურქების» რედაქტორს გ. ვ. სარგოცის. 1898 წელს მან გადაწო ამ საქმისთვის 3.000 მანეთი. ამას მოყვა შეწირულება და დასმარება თუ ქალაქის თუ კერძო პირების მხრივ, რომლის ჯამი იკადა 80 ათას მანეთამდე. ამ თულისთ გაკეთდა ღამიანი შენობა, რომლის ზალა სასახლო აუდიტორიისა იტევს 700 კაცს. ორჯალსაინი სასახლო სკოლა იტევს 40 შეგირდებს. თავუკისათარშა არის სამკითხველო. ამ კაზით თავშესაფარში იმოთება ორი ლიტერატორი, სამი ასოთაშეწობა, ერთი გრაფიკი და ერთი ცხარების ამოიქნელი ცოლათ. ბუკდითი საქმის მუშაკთა თავშესაფარი ამოთება ლიტერატორებისა და ნაწიველების დამხმარებელ საზოგადოების გამკებაში.

ამ 15 ივლისს, 60 წლის შესრულებას გამო ზოგო ლერმონტოვის სიკვდილის შემდეგ. იმ ადგილას, სადაც მოსდა მისი დეული, დადგომულ იქმნა დროებითი ძეგლი. ძეგლის გასხნას დაესწრო დიდძალი ხალხი და მრავალი საგულესმძიერო სიტყუები წამოითქვა. მაგრამ თუთა ს გულესმძიერო აქ ის იყო, რომ ზანაშვილი ამ დღეს გადაიხდა 88 წლას მოსიერმა, ზიატიგორსკის სობოროს წინამკარმმა დეე. ვ. ერასტოვმა, რომელმაც ამ 60 წლის წინეთ უარი განაცხადა ლერმონტოვის დამარსკაზე, რადგანც იგი დეეღში იქნა მოკლული. შემდეგ, როგორც იყო, ლერმონტოვი დამარსულ იქმნა მდ. ალექსანდროვისკის ძიერ, რისთვისაც მან საკუთარი მთავრობისა-საგან სასტიკი წურომა მიიღო. სასულიერო მთავრობა, სსკათა შიროს, აი რას სწერდა მამ ალექსანდროვისკის: «არა თუ არ უნდა აკეთო წესი მოკლულისათვის, არამედ ჩვენი კვლეუსიის სწავლის თანახმით, იგი უნდა გადაკრათ ჯალათისთვის; უგანასენელი ამოკვარადა რა მას ტომარაში, უნდა გაეთრია იგი ორმოდე, რომელიც სასაფლასს გარეთ უნდა გაეთხართათ».

ამას წინეთ გამოქვეყნებული დროებითი წესი სასახინო სამთო ქარხნების და მადნების მუშათა ზენსიის შესახებ, რომელიც უმადლეუსთ დამტვიცნებულ იქმნა 1901 წელს 15 მაისს, შესამწინკეთ ცეკლის სამთო მუშების იურიდიულ და კკონომიურ მდკომარეობას. ამის შემდეგ საზინის სამთო ქარხნების და მადნების მუშათ, სქესას და წლოვანების განურჩევლათ, რომლებიც დაშავებებიან მუშაობის დროს, მიეცემათ ზენსია. ეს დროებითი წესი ფინანსთა სამინისტროს კანონპროექტისაგან კაპიტალისტთა ზან-ისი-მკებლობაზე იმით განიხრევა, რომ იგი დაშავებულ მუშათ უფრო ფართო უფლებებს აძლევს: ზენსია მიეცემა არა მარტო მუშაობის დროს დაშავებულთ,

არამედ იმთაც, ვინც კერეთ წოდებული ზროფსიონალური სენით სდება აკათ. ზენსიის მიღების უფლებას კარგავს მხოლოთ ის, რომელიც განზრას იშავებს თავს, მაგრამ ასალი კანონი გადეე იმით არის საურადლებო, რომ თუ ამ ბოროტ-განზრასკამ მუშა იმსკურზლა, მის ოჯასს მანინ მიეცემა ზენსია. მუშა-დეეგაცრებს ზენსია არ წაერთიკვათ იმ შემთხვევაშიც, როცა ქმრებს მიუვებიან. ზენსიის რადენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომამდეა მუშის ფიზიკური შეუძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მუშას სრულებით აღარ შეუძლია მუშაობა, ზენსია უდრის მისი წლიურ შემოსავლის ორ მესამედს. ასეთივე ზენსია ენიშნება მცირეწლოვან მუშებსაც. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ზენსიას კარდა, რომელსაც აძლევს საზინა დაშავებულ მუშებს, ეს უგანასენენი სრულებით არ კარგვენ იმ ზენსიებს და შემწეობათ, რომლებიც კრკებათ მათ საერთოერთო დამხმარებელ კასებიდან და სსვა-და-სსვა ამხანაგობიდან. ამხანაოთ საზინა უფრო ამსნეებს მუშებს სსვა-და-სსვა ამხანაგობებში მონაწილეობის მისაღებათ. სამწუხარო აქ მხოლოთ ის არის, ამ ასალი კანონის სიფერა ძლიერ ვიწროა: იგი შეიცავს მხოლოთ 34.208 მუშას რუსეთის საძთო მუშების რიცხვიდან, რომელიც 1898 წლის ანგარიშით უდრიდა 592.910 კაცს («Русск. Вѣд.»).

ამ დღე არ გვა, რომ ტელეგრაფმა რაიმე ამბავი არ მოკვიტანოს გადაწვის შესახებ. იწვება კერძო სასლები, სავა-ტრა და სასადებ-მიცემა დაწესებულებანი, იწვება ქალაქების ძთელი უბნები, სოფლები; შველა არსაიდან არაა. უგანასენელ დეშემბიდან ვტუობილობთ, სსვათა შორის: ზეტურბუკიდან, 24 ივლისს ცეცსლი გაუწნდა სამოკიინის რვიხეულობის საწარ-მაკებთა ფაბრიკას. საგარტოვიდან: დამე ცეცსლი გაწნდა ვოლ-გის ნ.პირას; იწვება სე-ტუის საწეობები და ქარხნები ივანო-ხოვისა, ბელეკვისა, მაკაროვისა და გოლიდინცისა. ლოდნი-დან: გუშინ ცეცსლი გაუწნდა გურტივის ამოტუტას და დი-წვა დამხადებულ მასალის საწეობი. ვიტებსვიდან: 24 ივლისს ცეცსლი გაწნდა ერთ და იმავე დროს სამ ადგილას, სადაც დარობ-ლატაენი ცხოვრობენ. უბედურება გამოუთქმელია. სრუ-ლიად გადაიბევა ორი ნაწილი ქალაქისა. ცეცსლი ჟერც არ გაქმალდა. აი ასეთი ამბები მოდის სოლდე გაწევევტელათ რუსეთის სსვა-და-სსვა ქალაქებიდან და დანა-სოფლებიდან ეს ორი თუა.

ს ა ზ ლ ვ ა რ უ ა რ ე თ.

იმლინი. 16 ივლისს საზოგადოებათა ზალატს მსკე-ლობა ქქონდა «ლენდლორდებისათვის შემწეობის კანონ-პრო-ექტის შესახებ», რომლითაც ნასკრათ მცირდება მიწათ-მფლო-ბელთა გადასახადი ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფი-ლებლათ. რადგანც მთავრობა ამის შესახებ გადეე წინეთ შე-თახსმდა ოპოზიციასთან, რომ ამ კანონს მხოლოთ ოთხი წლის ვადა ექნება, ამიტომ გამათი საინტერესო არ ყოფი-ლა. უურადლების დარსი იყო მხოლოთ ბროდრიკის განმარ-ტება, თუ რათ აუკრძალა მან ცნობების მიცემა გ.ზ. «Daily Mail»-ს და აგრეთვე ინციდენტი ირლანდიულ დეშეტატებთან. ეს უგანასენელი გამოიწვია აი რამ. როცა ლენდლორდებისთვის შემწეობაზე გამათი იყო, ლიბერალური დეშეტატი ვალტონი ამტვიცნებდა, რომ ამ კანონ-პროექტის მიღება უსამართლობა იქნებაქალაქების დანარჩენ გადამხდეულთა წინაშე. უნიონისტები კი აცხადებენ, რომ ვითხვა გამორკვეულია და გამათი მეტიაო. მაშინ რედონდის სვიკერის უურადლება მიაქცია იმას, რომ



მას ლაზარეს უშლიანო. უნიონისტები გაიძასოდენ: «დაიწვეთ გენგის ყრავი». ამასვე რედმონდი უპასუხებს: «პოლიცია, პოლიცია!» სპიკერსა და რედმონდს შორის მოხდა შელაპარაკება, რასაც ის მოყვა, რომ რედმონდი გამოავლინებდა იქმნა პარტიის ერთი სსდომისაგან. რედმონდის გამოცხადებას მოყვა ის, რომ პარტიიდან გაყვანილ იქმნა მეორე ირლანდიელი დეპუტატი პარტიის ოპოზიციის. ამის შემდეგ კამათი გათავსებულ იქმნა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიადგეს 217 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 199 ხმისა.

**გერმანია.** გერმანიის მთავრობა, როგორც ვიცით, დიდი ყურადღებით ეზრუნება ყოველთვის აგრარების ინტერესებს და ამ გზას დააღწა ახალი კანცლერი გრაფი ბოლოვიცი. დღეს გერმანიაში და მის მეზობელ სახელმწიფოებში უმთავრესს ყურადღებას იქცევს ახალი სატამაყნო ტარიფის პროექტი, რომელიც ახლანდელ გამოქვეყნდა. ამ პროექტით მთავრობა უმეტესს ბაჭებს უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ნაწარმობით, რომელნიც გერმანიაში უცხო ქვეყნებიდან შეაქვთ და უმთავრესად რუსეთიდან. მიზანი, რასაც ვეძრვით, ამჟამად—ამ საშუალებით აიწესა სასაქონლო ნაწარმობისა ფასი გერმანიაში და მიწათმოქმედების შემოსავალს მოემატება. მსოფლიო ამას აქცევს მთავრობა ყურადღებას და სრულიად ყურადღებით ტოვებს იმ 55 მილიონ მცხოვრებთა ინტერესებს, რომელნიც მართლაც მსმარებენ ახლანდელ სასაქონლო ნაწარმობისა და ახალი მომატებული ბაჭები სახსრებით მათ დააწესებთ. მაგალითისათვის მოვიყვანთ, თუ რამდენად განსაკუთრებული მომავალი ბაჭები არსებობს ახლანდელს. შერის ბაჭი აწუხდა 50—100<sup>0</sup>/<sub>100</sub>, შერისა თითქმის 100<sup>0</sup>/<sub>100</sub>, სხვა ყველა რუსეთის ნაწარმობებზე 20—30<sup>0</sup>/<sub>100</sub>—მდე, და, რაც მოულოდნელი იყო, რუსეთიდან შესატან სურსათს კა მოუმატეს ბაჭი.

სანტარესო და ახსებითი მხარე პროექტისა მდგომარეობს იმაში, რომ მას შემდეგ მეტად დიდი ბაჭები შეიქმნება, აკანონებს მინიმალურ ბაჭებს, რომელთა დაკლების ნება მთავრობასაც არ ეძლევა, და აიწესებს საერთაშორისო ვაჭრობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პროექტის გამოქვეყნებამ დიდი სენსაცია მოახდინა როგორც თვით გერმანიაში, ისე საზღვარ-გარეთაც. პროექტი ჯერ სახელმწიფო საბჭოს არ განუხილავს, მაგრამ მთავრობის ახლით გამოიჩვენა და ყველა პარტიები შეუდგენ მზადებას მის მისაღებად-უარსყოფილად. ბაჭების წინააღმდეგობა თითქმის მთელი კრი, ვარდა აგრარებისა, და პარლამენტის პარტიები ცენტრიდან უვიდურეს სოციალ-დემოკრატია-მდე. ეს პარტიები უკვე შეაკავშირეს ამ ტარიფის პროექტმა, რომელსაც გერმანიაში «ნარჩების ტარიფს» ეძახიან და მოსალოდნელია, მთავრობა იმუდებული შეიქმნება შეამცირებს თავისი აგრარებისადმი მოწყობება.

დიდ გავლენას იქონიებს ახალი ტარიფი საერთაშორისო განწყობილებაზეც—რუსეთსა, იტალიასა და ავსტრო-უნგრეთის ერთი მხრით და გერმანიის მეორე მხრით.

რუსეთის ფინანსთა მინისტრმა დროსვე გააფრთხილა გერმანიის მთავრობა, რომ რუსეთის ინტერესებიც მიეღობთ მსუდველობაში ტარიფის შემუშავების დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი მხრითაც სამაგეროს პირდებოდა. გერმანიის მრეწველობისათვის კი რუსეთი მეტად მეორფასს ბაზარს წარმოადგენს, და ამ მხრით დიდი წინააღმდეგობა შეუძლია გაუწიოს, და გაუწიეს ვიდეც, რადგან ყველაზე მეტად რუსეთის საკაცრო ინტერესებს ღახავს ახალი ტარიფი.

იტალია და ავსტრო-უნგრეთი გერმანიის მოკავშირე ქვეყნებია, მაგრამ, როგორც იტალიაში გამოაცხადეს, თუ მო-

კავშირეთა კონსოციური ინტერესები არ იქნება დარღული, მაშინ თვით კავშირის შესაძლებლობაც სავსეა ხდება.

ამ რავთ გერმანიის მთავრობას და მის ახალ ტარიფს დიდი წინააღმდეგობა მოკლის შიგნით და ვარუთ და უმბჭელოა, ბუკრი დათმობა დასჭირდება.

**ამერიკის ფინანსური მთავრობა.** ფოლადის ქაზინოებში მუშათა გაფიცვა ჯერჯერობით არ გათავსებულა, თუმცა ორივე მხრიდან მოლაპარაკებას აღძრული. როგორც იქნა, რი გაზუთები გადმოგვიქმენ, მეშუამ გაფიცვისთვის წინაუკვე შეატრავს ერთ მილიონ მანეთამდე. მათი მოწინააღმდეგე ფოლადის სინდიკატის საორგანიზაციო კავშირული უდრის 1.400 მილიონ დოლარს. ყოველ გამცლარ დღეს სინდიკატისთვის ორ მილიონ მანეთამდე წახალი მოაქვს და იგი ჯერჯერობით მანინ უძლებს ამისთანა წარაღს.

ამისთანავე გაუიცვა მომსდარა ქ. სანფრანცისკოში. იქ 55 ათას მუშას დაუნებება თავი მუშაობისთვის გემის საშუალებულ ქარხნებში (დოკებზე).

**ისპანია.** ჩვენმა მეითხველებმა უკვე იციან, რომ ისპანიაში გამწვავებული ბრძოლა იეზუიტთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დღესაც არ შეწყვეტილა და თითქმის არ გადის არც ერთი კვირა, რომ ქუჩებში ხელ-ხართული ომი არ მოხდეს. უგანს-კნელი ცნობებიდან ჩანს, რომ 17 ივლისსაც მომსდარა ქ. სარავოსში ამისთანა შეტევა. ამ დღეს იეზუიტებს საიუბილეო პროცესიით უნდა გაველოთ ქეხში. ლიბერალი და ანტიკლე-რიკალინიც წინაუკვე ემზადებოდენ ამ შემთხვევისთვის. დიდი-დანიე ქალაქში ყველა მალაზიები დაკუტეს. როდესაც იეზუიტთა პროცესია გამოხნდა ქუჩაზე, ატუდა ერთი ალიაქოთი, სტეენა, უვირილი და დამაზის სოლოა. პროცესია აირია. ხალხმა ალფა შემოარტყა რამდენსამე მოსასტერს, სოგს ცუცსლი წაუვიდეს, სოგს ქვას უშინდენ. შეკეტილმა იეზუიტებმა წარის რვევით აცნობეს ჯარს განსაცდელი. მოვიდა ჯარიც და რასაკვირვლია, შეიარაღებულმა მსედრობამ მალე მიიფანტ-მოფანტა მანიფესტანტები. მოკვდა ერთი ბავშვი, დაიჭრა 80 კაცი, მათ შორის კარლისტთა გენერალი კავრო, რომელიც წინ მიუძლოდა იეზუიტთა პროცესიას.

**ღანი.** ამ დღეებში დანიის სოციალ-დემოკრატებმა იღვე-სასწაულს ოცდასუთი წლის თავი თავის კონგრესთა ორგანიზაციის დაარსებიდან. სოციალ-დემოკრატთა მეცრე კონგრეს-მა სადღესასწაულოთ გამოცხდა მანიფესტი, რომელშიც სსკ-ათა შორის მოხსენებულა: «ამ ოცდასუთი წლის წინეთ ჩვენ ვიყავით არა უმეტეს 7,000 კაცი. 1876 წლის არჩევნებზე ჩვენ წარუადგიინეთ მსოფლიო 1,76 ხმა და არც ერთი ჩვენმა წარმომადგენელი არ იყო არჩეული. ამ უამათ კი ჩვენ პარტიას ვეუთენის 100,000 კაცი. წარსულ აზრისს სამში ოცდაათ სოლოქო არჩევნებზე ჩვენ ვეჭონდა 43,000 ხმა და დღეს ჩვენ ფოლკსტინგში ვეუას 14 წევრი. ამ ოცდასუთი წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატთა პრინციპებმა ისე გაიფანტეს, რომ დღეს მათი სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდი გავლენა აქვთ». დაბოლოს კონგრესი იწვევს მუშათა კლასს და დემოკრატის—ცეადეთ განსაორციელოთ ის განზრახული რეფორმებიც, რომელნიც ჯერ ვიდეკ არ არის დაკანონებული სახელმწიფოსაგანაო.

**რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში.**

(შემდეგი. — იხ. № 30).  
რუსული პოეზიის ისტორიაში გოგოლის პერიოდს მოყვება მეორმოცე წლების ბელეტრისტთა და პოეტთა



ხანა. ეს ხანა იწყება ორმოცი წლებიდან და გრძელდება სამოცდაათ წლებამდე. რუსეთის პოეზიაში ეს ხანა საუკეთესო ხანაა არა თუ ნაყოფიერებით, ნიჭის ღირსებითაც. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ტურგენევი, დოსტოვესკი და ლ. ტოლსტოი, რომლებიც ღირსეულათ ითვლებიან რუსეთის ლიტერატურის საუკეთესო განძათ. როდესაც მეორმოცე წლების ბელეტრისტები და პოეტები გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზე, დასავლეთ ევროპაში ლიტერატურისა და საზოგადოთ აზროვნების მთელი ყურადღება ცხოვრებას დაემორჩილებია, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ევროპის ძველი წყობილება ძირიანათ იცვლებოდა; ეს ცვლილება დაფარული აღარაღვისთვის აღარ იყო. საწარმოვო ძალთა განვითარებამ მოითხოვა თვით ცხოვრების ყოველმხრივი წარმატება, ყოველივე ძველის გადახალისება ახალი პირობების შესაფერათ; ზოგან ეს გადახალისება, განახლება ერთბაშათ, ერთის დაკვრით მოხდა, როგორც, მაგ., საფრანგეთში, ზოგან კი, როგორც ინგლისში, უფრო წყნარათ და თანდათანობით. ცხოვრების განვითარებამ აღმოაცენა მრავალი კითხვები, რომლებზედაც პასუხის მიცემა იყო საჭირო; ამგვარ კითხვებს ძველი ცხოვრება არ ეცნობდა და ამიტომ მას არც მოეძებნებოდა ამ კითხვების გადაჭრილი პასუხი. ამ გარემოებას შედეგათ ის მოყვა, რომ ევროპის მთელი აზროვნება წარსული საუკუნის პირველ ხანებში სოციალური კითხვების გარშემო ტრიალებდა; ამ კითხვების გადაჭრა და ასე თუ ისე ახსნა უმთავრეს საგანს შეადგენდა არა თუ პუბლიცისტიკისა და კრიტიკისას, არამედ ფილოსოფიისაც და უმთავრესათ კი სიტყვა-კაზმული მწერლობისას. აიღეთ ბაირონი, შელლი, დიკენსი, ჟოკო-ზანდი, სტალი, ვიქტორ ჰიუგო, ჰინე და მრავალი სხვანი: ყველა ესენი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებიან, ყველა ცხოვრების მიერ წამოყენებული კითხვების გაფაციცებით რკვევაში არიან გართულნი. ამ მწერლების ნაწარმოებნი საუკეთესო მანგინებელია იმისი, თუ რას გრძობდა და რას ფიქრობდა ევროპა წარსული საუკუნის პირველ ნახევარში. მეორმოცე წლების სკოლის ბელეტრისტთა ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ ისინი კარგათ ეცნობდნენ თანამედროვე ევროპის მწერლობასა და ცხოვრებას და, გამოვიდნენ თუ არა სალიტერატურო ასპარეზზე, ზემოხსენებულ მწერლებსავით მათაც ცხოვრების ანალიზი, მისი მოვლენათა დაფასება და მის მიერ წამოყენებული კითხვების რკვევა გაიხადეს თავის საგანათ. რადგანაც მაშინდელი რუსეთის ცხოვრების საფუძველს ბატონყმობა შეადგენდა, ამიტომ თავდაპირველათ ამ საფუძველს შეხედეს კრიტიკულათ მეორმოცე წლების მწერლებმა და მათდა სასახელოთ და სასიქადულოთ ერთიანათ და ერთხმათ უარყვეს ის.

თუმცა ამ მწერალთა ერთი წილი ევროპის წყობილებაში ხედავდა იდეალს, მეორე კი ევროპის წყობილებას ეჭვის თვალით უყურებდა და ბოლოს სრულებით უარჰყო და დაემო ის, როგორც ხალხის დამღუპველი, მაგრამ თვით რუსეთის ცხოვრების დაფასებაში მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა. მათ გამოუტყდადეს ბრძოლა ბატონყმობას და ტურგენევის სიტყვით ერთმანერთს შეუიციეს, რომ სიკვდილამდე ბატონყმობის დაუძინებელი მტრები ყოფილიყვენ. ბატონყმობა მარტო გლეხის დამონავებას კი არ ნიშნავს: ცხოვრების წყობილება თვით საზოგადოების ხასიათში და რწმენა-შეჯდულებაში იწვევს შე-

საფერ ცვლილებას. გლეხის დამონავებას რუსეთში თანახლდა მრავალგვარი ნაკლულევენებანი, რომლებიც უფრო ძლიერათ გაჯდომოდნენ მებატონეთა წრეს და ამიტომ მეორმოცე წლების მწერალთა ორი უმთავრესი თემა გლეხი და მებატონეა; პირველის ხატით ისინი ცდილობდნენ გლეხის პიროვნების აღდგენას; მეორეს ხატით ისინი მკითხველს თვალწინ უშლიდნენ ყველა იმ ნაკლულევენებათ, რომლებიც აღმოცენებულიყვენ ბატონყმურ ნიადაგზე.

მეორმოცე წლების ბელეტრისტთა ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არის ი. ტურგენევი, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა შეიძლება გავყოთ სამხანათ. პირველი ხანა გრძელდება 42-დან 47 წლამდე; მეორე 47—52 წლამდე და მესამე იწყება 52 წლიდან და გრძელდება მის ლიტერატურულ მოღვაწეობის დასასრულამდე. ტურგენევი დაუძინებელი მტერი იყო მთელი ბატონყმური წყობილების და მისი მიზანი იყო ამ წყობილებასთან ბრძოლა, მაგრამ თავის მოღვაწეობის პირველ ხანაში ის დაშორებული იყო ამ მიზანს. ამ დროს განმავლობაში ის თუმცა წერდა პატარ-პატარა მოთხრობებს და ბელინსკის ყურადღებაც მიიქცია, მაგრამ მისი ნაწერები არ იყვენ ერთი დედა-აზრით გამსჭვალული, არ ენებოდნენ სრულებით ბატონყმობას. 1847 წელს მან დასტაჰა „ხორი და კალინინი“, რომელმაც ერთბაშათ მოუხეცა სახელი ტურგენევის. ამ მოთხრობით ტურგენევი შედგა თავის ნამდვილ გზაზე და ამგვარი დედააზრის მოთხრობებს ის წერდა მთელი ხუთი წელიწადი. ყველა ამ მოთხრობებს ჰქვია საერთო სახელი „მონადირის წერილები“. მონადირის წერილებში უმთავრესათ გამოყვანილია გლეხები, მათი ცხოვრება, მათი შეხედულებანი. ტურგენევი ისეთი სიმპატიით, სიყვარულით, ძლიერი თანაგრძნობით და მასთან ისეთი გასაოცარი ხელოვნებით ხატავს აქ გლეხებს, რომ საზოგადოების თვალში არა თუ ააპალა გლეხის პიროვნება, თითქმის კიდევ შეაყარა საზოგადოებას გლეხი. ტურგენევი პირველი იყო, რომელიც გლეხს გამოესარჩლა სიტყვა-კაზმულ მწერლობაში და ამიტომ მონადირის წერილების საზოგადოებრივი მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. ტურგენევი ერთი მხრიდან დაამარცხა ბატონყმობა, საჭირო იყო მეორე მხრიდან მოვლა. ამიტომ 52 წლიდან მოკიდებული ტურგენევი იძლევა სხვა-და-სხვა ტიპებს მებატონეთა და ინტელიგენციის წრიდან და მათი საუცხოვოთ ხატით აშკარათ უთითებს საზოგადოებას ყველა იმ ნაკლულევენებაზე, რომელიც იყო ნაყოფი ბატონყმური წყობილების.

საუკეთესო ტიპები არიან ამ მხრივ რუდინი და ლავერეცი. ორივე პათიოსანი კაცია, ზნემაღალი, განათლებული, ჰუმანური აზრებით გამსჭვალულნი, საუცხოვო იდეების მქადაგებელნი, მაგრამ მხოლოთ მქადაგებელნი, მათ მარტო ენის ტრიალი შეუძლიათ, საქმით კი არა თუ სრულებით უძღურნი, მშიშარა და ვაუბედაენიკი არიან. მესამოცე წლებში ტურგენევი დახატა თანამედროვე ახალთაობის ტიპი ბაზაროვის სახით, სამოცდაათ წლებში მან დაასურათა თანამედროვე «ნაროდნიკული» მოძრაობა რუსეთის ინტელიგენციაში. როგორც ხედავს მკითხველი, ტურგენევი სათავეში უდვა ცხოვრებას და ყოველგვარ ცვლილებას, ყოველგვარ ახალ მოვლენას პირველათ ის აწვიდა საზოგადოებას,—ყოველი მისი თხზულება საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია იყო ბელეტრისტულ

ფორმაში ჩამოსხმული; მისი თხზულებებით თანამედროვე საზოგადოებრივ მდგომარეობას სწავლობდნენ მისი მკითხველები. თავის ნაწერებში ტურგენევი მეტათ უიმედლოთ, უნუგეშოთ უყურებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მისმა ნიჭმა ეს თვისება ბოლომდე შეიჩინა და არა თუ შეიჩინა, სამოცდაათ წლებში მისი უიმედობა საშინლათ გაძლიერდა, მან სრულებით აიღო ხელი რუსეთის ცხოვრებაზე, რადგანაც იქიდან საიმედოს აღარას გამოეყოლა. ტურგენევის ნაწერებში ქალები საზოგადოათ მალლა დგანან მამაკაცებზე. ტურგენევის სახელოვნო ნიჭი უნაკლოლო იყო. ყოველიფერი არაბუნებრივი მან ხელოვნებიდან განდევნა და სრული ბუნებრივობა და სიმარტივე გაამეფა. ცხოვრების ამოცნობაში, ხასიათთა დახატვაში ტურგენევი შეუდარებელია; მისი ნაწერები შესანიშნავ გაღერეიას წარმოადგენენ მრავალ ტიპებისას, რომლებიც უნაკლოლოთ, სრულათ და სოცხლათ არიან გამოქანდაკებულნი და ქალების ბუნების ცოდნაში ხომ ტურგენევის ბადალი არა ყოლია რუსეთის მწერლობაში. ნიჭთან ერთათ ტურგენევის ჰქონდა საუცხოვო ფილოსოფიური მომხადება და მისი გავლენა ნიჭისა და განათლების შეერთებული მოქმედების წაყოფია.

ტურგენევის მოყვება გონჩაროვი, რომელიც როგორც ნიჭით, ისე წაყოფიერებით და ფილოსოფიური განათლებით გაცილებით დაბლა დგას ტურგენევისზე. გონჩაროვი იყო შექლებული ვაჭრის შვილი. ის წრე, სადაც ის სიპატარაიდანვე იზრდებოდა, თუმცა არ იყო ნამეტნავათ გამსქვალული ბატონყმური იდეებით, მაგრამ სპაგიეროთ პრაქტიკულ მიმართულებას ადგა. როგორც ვაჭრული წრე, სულიერი მხარე ცხოვრებისა, ცხოვრების საჭირ-მაროტო კითხვები მას მაინცა და მაინც ძალიან არ უტრკებდა გულს და გონჩაროვის აქვარმა წრემ თვისი გავლენა დააჩნია: სევდასა და პესიმიზმს, რომელიც ტურგენევის ნიჭის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, გონჩაროვის ნაწერებში თქვენ ვერა ნახავთ. გონჩაროვი ხატედა თანამედროვე რუსეთის ცხოვრებას და ამ ხატვაში ძლიერი ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ თითო რომანის დაწერას 10—15 წელს ანდომებდა და ამიტომ ის არ უდგა თავში ცხოვრებას, როგორც ტურგენევი. ტურგენევისათვის ის ვერ აღვლევებდა თანამედროვეთა სულსა და გულს. 47 წელს დაიბეჭდა გონჩაროვის დიდი რომანი «ჩეულებრივი ისტორია», 58-ში «ობლომოვი» და 68 წ. «ობრიე»-ი. ამ რომანებს გარდა, გონჩაროვის კიდევ ბევრი აქვს წერილი მოთხრობები, მაგრამ მისი სახელი და მნიშვნელობა მხოლოთ ამ სამი რომანის წაყოფია, რომელთა შორისაც საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს «ობლომოვი» როგორც ხელოვნური მხრით, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობით. როგორც ტურგენევი, ისე გონჩაროვი ებრძოდა ბატონყმობას და პირველ ორ დიდ რომანში მან საუცხოვოთ დახატა ყველა ის ნაკლოლევენებანი, რომლებიც აღმოცენებული იყვენ ბატონყმურ ნიადაგზე. ბატონყმურ წყობილებაში ადამიანი მიჩეეული იყო უმოქმედობას, სიზარმაცეს და ფუჟუნებას, რადგანაც მისთვის ყოველიფერს ყმა აკეთებდა; ის ფენს ვერსად გადადგამდა ისე, რომ ტრადიციას არ შეხვედროდა; ადამიანი შებოროკილი იყო ამ ტრადიციებით და იმის თვითმოქმედებას, მისწრაფებას, ენერგიას ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. სწორეთ ბატონყმობის ასეთ გამხრწნელ მხარეს შეეხო გონჩაროვი თავის რომანებში და განსაკუთრებით «ობლო-

მოვში». ობლომოვი ხორცშესხმული სიზარმაცეს და მნიშვნელობა. ის ლეშია ცალიერი—სხვა არაფერი. ერთათ ერთი საქმე, რომელიც მას შეუძლია, ლოგინზე გორაობა არის; არა თუ საქის კეთება, ფიქრიც კი ეზარება. არავითარი ენერგია, არავითარა ძალა თვით-მოქმედებისათვის მას არ გააჩნია; გულ-ხელ-დაქდობილი შეჩერებია ის ცხოვრებას და მაშინ, როდესაც საჭიროა ძალა, მხნეობა, სიჯიუტე, მედგრათ წინ გაშურება, ობლომოვი მშვიდათ და წყნარათ გორაობს ლოგინზე! ასეთი ობლომოვი გულში მოხვდა მაშინდელ საზოგადოებას; ინტელიგენციის ყველა ნაწილმა ობლომოვში თავისი საკუთარი თავი იცნო. გონჩაროვი რუსეთის ინტელიგენციაში ობლომოვების მეტს ვერას ხედავს, ამავე დროს კი ის ტურგენევივით სიპატრიურათ ეპყრობა ქალებს და მხოლოთ ამათში ხედავს დროის შესაფერ ყველა იმ ღირსებას, რომლებსაც ინტელიგენციაში მამაკაცები მოკლებული იყვენ. ასეთი არიან ოლგა «ობლომოვში» და ვერა „Обрывъ“-ში. როგორც ტურგენევის ზოგიერთი ქალები, ესენიც მისწრაფიან წინ, ენერგიით სავსე თვითმოქმედება წყურიათ; მათ არ შეუძლიათ თავის გარშემო ცხოვრების დაცემას მშვიდათ და წყნარათ უყურონ და გიჟური სურვილით მისწრაფიან უკეთესა ცხოვრებისაკენ და ანხანავს ეძებენ მამაკაცთა შორის, მაგრამ ასეთ ანხანავს და თანამკრძობს სიტყვით კი არა, არამედ საქმით, რუსეთის ინტელიგენციაში ვერა ჰპოებენ! ასე ემართება ოლგას «ობლომოვში», ასე დავმართავლენას ტურგენევის „Накануне“-ში.

თუმცა ტურგენევისა და გონჩაროვის შემდეგ გრიგოროვიჩის ბელეტრისტული ნიჭი სრულებით მკრთალია, მაგრამ რადგანაც გლეხის პიროვნების ასამაღლებლათ ამ მწერალმაც ტურგენევეთან ერთათ ააშალა ხმა, ამიტომ ორიოდ სიტყვას გრიგოროვიჩისაც ვუძღვნით. ნიჭითა და მიდრეკილებით გრიგოროვიჩი უფრო მხატვარი იყო, ვიდრე ბელეტრისტი; მისმა ბელეტრისტულმა ნიჭმა მხოლოთ ერთხელ გამოაშუქა და მას შემდეგ აღარ მიუქცევია საზოგადოების ყურადღება. 47 წ. გრიგოროვიჩმა დასტამბა „Антонъ Горемыка“ და ამ მოთხრობამ ერთხანით ამაღლა მისი ავტორი საზოგადოების თვალში. როდესაც ახლა კითხულობთ ამ მოთხრობას, ის არც შინაარსით, არც ხელოვნურა ღირსებით არ წარმოადგენს შესანიშნავ თხზულებას, მხოლოთ ანტონის გაჭირებული მდგომარეობა იწვევს თქვენს თანავგრძობას; მაგრამ არ უნდა გვავიწყლებოდეს, რომ გრიგოროვიჩმა დაგვიხატა ყმის გაჭირებული მდგომარეობა და ის უსამართლობა, რომელიც დამკვიდრებული იყო ბატონყმობაზე და ანტონს სულს უხუთავდა,—დაგვიხატა მაშინ, როდესაც ყმის სასარგებლოთ ხმას არავინ იღებდა; ამ პატარა მოთხრობით მან გამოუცხადა პროტესტი ბატონყმურ წყობილებას და ამაში მდგომარეობს მოხეობის დიდი ისტორიული მნიშვნელობა. გრიგოროვიჩს კიდევ აქვს რამდენიმე პატარა მოთხრობები გლეხის ცხოვრებიდან და რომანები, მაგრამ მისი რომანები თავისი ნაკლოლევენებით ფრიად სუსტნი არიან და რუსული ლიტერატურის ისტორიაში გრიგოროვიჩი დარჩება, როგორც ბატონყმობის ერთი სიპატრიური მებრძოლთაგანი და დაჩაგრული ადამიანის მოსარჩლე.

თავისი ნიჭის მიმართულებით აღნიშნულ ბელეტრისტთა გუნდს ეკუთვნის ნეკრასოვი, რომელმაც ტურგენევისა და გონჩაროვისათვის თავის ლექსებში. სავსებით დახა-






სიათა მეორმოცე და მეორმოცდაათე წლების ცხოვრების ნაკლულეწებანი. მაგრამ მაშინ, როდესაც პირველი თა-ვის აზრსა და შეხედულებას თანამედროვე ცხოვრების შე-სახებ სხვა-და-სხვა ტიპების ხატებით აცნობდნენ მკითხველს, ნეკრასოვი ცხოვრების სურათი იწვევდა საუცხოო ლი-რიზმს, უნუგეშოსა და მკაცრს, როდესაც ის ეხებოდა ინ-ტელიგენციას, სევდიანს და ხშირათ იმედით გამხნეებულს, როდესაც ის ხატავდა ხალხს. ნეკრასოვი უმთავრესათ ხალხის პოეტი იყო, ხალხის სულისა და გულში იხედებო-და და ყოველთვის იქ დანახულს თუ დიდი ხელოვნებით ხატავდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ხალხის ჭირ-ვარამს ის საკუთარის გამოცდილებით იცნობდა და არა მარტო პოეტის ოცნებით. ისეთი გაჭირვება, როგორც ნეკრასოვი-მა გამოიარა, ბევრ მწერალს არ განუცდია. მთელი ის დრო, რომელიც ნეკრასოვი უნივერსიტეტში დაჰყო, და-უსრულებელ შიმშილს წარმოადგენს. ხშირათ ის პურის ამარა იყო და ხანდახან მთელი დღეები მშვიდი და-დიოდა, პურიც არა ჰქონ-და. ბევრჯერ უბინაობისა გამო მათხოვრებთან ერ-თათათიედა ღამეს ნანგრე-ვებში და ამგვარმა ცხოვ-რებამ გააცნო და სამულა-მით შეაყვარა მას ყველა გაჭირვებული და ჩაგრული. ნეკრასოვის პოეზია ორ დიდ ნაწილათ გაიყოფება. პირველ ნაწილში ის ამხა-ლებს ინტელიგენციას, ჰკი-ცხავს მას უმოქმედობისა და უმოძრაობისათვის და ზიზღით შეჰყურებს მის აპა-ტიას და ყველა იმ ნაკლუ-ლეწებებს, რომლებიც ბა-ტონყმობამ შესძინა მას. მისი პოეზიის ამ ნაწილის სარჩული უნუგეშოა სევდაა. მეორე ნაწილი მისი პოე-ზიისა ეხება ხალხს, მას გა-ჭირვებას, მისი სულის კვე-თებას; მის ყოველდღიურ ცხოვრებას, მის მისწრა-ფებას; აქ მისი ლირიზმი ხან სევდიანი, ხან იმედი-ანი: თუ პირველ ნაწილში გამოსჭვივს გაბრაზება და ზიზ-ღში შერყეული სიბრალული საზოგადოებისადმი, მეორე ნაწილი ნეკრასოვის პოეზიისა გამსჭვალულია ხალხისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით.

აი, ამ აღნიშნულ მწერლებს შეეხებოდა პისარევის სიტყვები: ისინი მედგრათ ჭრიდნენ იმ ხეს, რომელზედაც თვითონ ისხდნო. ეს ხე იყო ბატონყმობა; ამ წყობილე-ბის შეიღი იყვენ ყველა ეს მწერლები; ისინი გამოვიდნენ მებატონყმთა წრიდან, მაგრამ ბატონყმური წყობილება შე-უბრალებლათ გაჰკიცხეს და დაჰკმეს. ბატონყმობაში ისი-ნი მარტო ადამიანის დამკირებას კი არ ხედავდნენ, ისინი ზომავდნენ ბატონყმობას ზნეობრივ საზომით, ის მიიჩნდათ უდიდეს უსამართლობათ, უდიდეს ცოდვათ და ის ღრმა

სევდა, რომელიც სარჩულათ უდევს ტურგენევისა და ნე-კრასოვის პოეზიას, წარმოადგენს წმინდა კელაპტარს, რო-მელსაც მეორმოცე წლების ბელეტრისტები ანთებდნენ და-ტანჯული გლეხის წინაშე მამა-პაპათა ცოდვის შესანანებ-ლათ.

ნეკრასოვის ცხოვრებაზე გაცილებით უფრო საყურად-ღებოა უკრაინის შესანიშნავი პოეტის შევჩენკოს ცხოვ-რება. იმ მიზნით, რომელსაც შევჩენკო ემსახურებოდა, ის უერთდება აღნიშნულ მწერლებს, რადგან მათსავით დაუძინებელი მტერი იყო ბატონყმური წყობილების, მაგ-რამ მისი პოეზია მით არის საყურადღებო, რომ თვითონ ავტორი ყმების წრიდან გამოვიდა და თავის თავზე გამო-ცადა ყმობის სიმწვავე, ამიტომაც მისი პოეზია იმ მხრით დგას ნეკრასოვის პოეზიაზე მაღლა, რომ შევჩენკოს პო-ეზიაში მეტი სინამდვილეა, მეტი გულწრფელობა, მეტი ბუნებრივობა და მეტი გრძნობა პოეტის მიერ ხალხის




ნიკოლოზ ლესქისაჲ ქე ნეკრასოვი.

ტარქანა გოგოლას ქე შევჩენკო.

ცხოვრებისა. შევჩენკო მარტო გონებით კი არ წვდება ყმის ტანჯვას, გულითაც გრძნობს, ის თვითონ არის ბა-ტონყმობის უღელში შებმული ხალხის წარმომადგენელი, და მასში თავმოყრილია ის დიადი პოეზია, ის მდიდარი გრძნობა, ის სიფხიზლე გონებისა და მოძრავი სიცოც-ხლე, რომლებითაც ასე დაუჯილდოვებია ბუნებას უკრა-ინის მცხოვრებნი. შევჩენკო იყო ყმა; ამიტომ ისწავლა თუ არა წერა-კითხვა სოფლის დიაკვანთან, მებატონემ მოსამსახურეთ წაიყვანა და აქ ხან მზარეულს ეხმარებო-და, ხან ლაქის თანამდებობას ასრულებდა. რადგანაც ბატონმა მას მხატვრობის ნიჭი შეამჩნია, ვარშავაში გა-გზავნა მხატვრობის შესასწავლათ, მაგრამ იქ შევჩენკო დიდხანს არ დაუტოვებია ბატონს; მალე უკან დააბრუნა და ისევ მოსამსახურეთ დაიტოვა სახლში. რამოდენიმე

უდიდეს უსამართლობათ, უდიდეს ცოდვათ და ის ღრმა



ხნის მოსამსახურეობის შემდეგ ბატონმა მას გაყიდვა დაუბირა, მაგრამ შევჩენკომ მიმართა სხვა-და-სხვა პირებს, რომელთა შემწეობითაც 1838 წელს ბატონისაგან თავი გამოიყიდა. ამის შემდეგ შევჩენკო შევიდა პეტერბურგის სანხატვრო აკადემიაში და აქ კურსი დაასრულა. ლიტერატურული მოღვაწეობა შევჩენკომ დაიწყო 40 წლიდან და შეიღწეა წლის განმავლობაში დაწერა ის, რითაც უკუდავი სახელი დაიმსახურა. 47 წელს ის დაიქირეს და დაქვრილი იყო მთელი ათი წელიწადი; დაბრუნების შემდეგ მოთხოვნების წერას მიყო ხელი. თემა შევჩენკოს პოეზიისა მრავალგვარია, მაგრამ მის უმთავრეს საგანს შეადგენს ხალხი, მისი გულის ამონაკვეთი და ის ქირვარამი, რომელიც მისთვის ბატონყმობის უღელს დაუტეხია. ხალხის უბედურების აღწერასთან ერთად შევჩენკო ყოველგან მტრულათ და ზიზით იხსენიებს ბატონებს და მათ მოქმედებას; ასე პირდაპირ, ასე თავისუფლათ არავენ არ ებრძოდა ბატონყმობას, არავენ არ ჰკიცხავდა ბატონებს, მაგრამ რადგანაც შევჩენკო მხოლოდ თავის სამშობლოს უგალობდა, სადაც ბატონებათ უმთავრესათ პოლონელები იყვნენ, და თავის პოეზიაში ის „პანებს“ ჰკიცხავდა, ამიტომაც მაშინდელი მკაცრი ცენზურა შევჩენკოს ხმას არა სცემდა. ხალხის ცხოვრებას, ხალხის სულს და გულს შევჩენკო გაცილებით უკეთ იცნობდა, ვიდრე ნეკრასოვი; მისი უსაზღვრო სიყვარული ხალხისადმი, მისი თანაგრძნობა და სიბრალული დაჩაგრულ მოძმეთამდის უგრძობელ გულსაც კი აღელვებენ. შევჩენკოს პოეზია ნაზსა და მომხიბვლელ სევდაზე არის აგებული; მისი სევდის მიზეზი იყო ერთი მხრით მამულის აწყო, მეორე მხრით წარსული დიდების დაკარგვა მამულის მიერ. სამშობლო შევჩენკოს წმიდა ხატებაა, რომელსაც ის მუდამ ეფერება, ეალერსება, ესიყვარულება და განუშორებლათ გულში ატარებს.

ამით გავათავებთ იმ მწერალთა მიმოხილვას, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო გლეხის გამოსარჩლება და ბატონყმური წყობილების გაკიცხვა და უარყოფა. ყველა განხილული ბელეტრისტები და პოეტები რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში საუკეთესო მოვლენას შეადგენენ; ისინი სხვა-და-სხვა მხრიდან დაეცნენ ბატონყმობას და ერთი მხრით საზოგადოება მოამზადეს დიადი რეფორმებისათვის, რომლებიც შესამოცე წლებმა მოიტანეს, მეორე მხრით საზოგადოებაში დათესეს მრავალი ახალი აზრები და ამით საზოგადოების გონებრივად და ზნეობრივად ამაღლებას და განახლებას მძლავრათ შეუწყვეს ხელი.

ი. გომართელი

(შემდეგი იქნება).

### მე მისთვის ვტირი.

მე მისთვის ვტირი, ვისაც სიყრმითვე ტანჯვა-ვაება შეთვისებია,  
ვის არ უგრძნენია სიტკბო, სიმშვიდე,  
ბედნიერება არ ღირსებია.

მე მისთვის ვტირი, ვინც ბრმა შემთხვევით კეთილ გზა და კვალს აშორებია,  
ვინც უმნიშვნელოდ დამიწებულა,  
საწუთროს უქმათ განშორებია.

მე მისთვის ვტირი, ვინც რომ ბედისგან დღეს ცხოვრებაში მონათ ქცეულა;  
ვისიც გულწრფელი ოფლის ღერა-შრომა სულ უნაყოფოთ გაქარწყლებულა.

მე მისთვის ვტირი, ვისიც ზნეობა, წმიდათა-წმიდა, ფეხ-ქვეშ თელილა,  
შურით და მტრობით შეგინებულა,  
მის სანუგეშოთ არვენ შთენილა.

მე მისთვის ვტირი, ვინც ჩაგრულთ ხნისთვის იბრძვის დღე და ღამ თავ-განწირული,  
ვინც ხალხს შესწირა სამსხვერპლოზედა ძალა და ღონე... ტანჯული გული!

მე მისთვის ვტირი, ვინც შავ-ბნელ ფიქრით გულს ლახვარსობილ დაკნინებული,  
უამხანაგო და უთვისტომო,  
ქვეყნისგან სრულათ დავიწყებული,  
გდია უმწილოთ, არავის ხედავს  
მის ახლო-მახლო ნუგეშის მცემელს,  
ვინც უიმედო, სევდით მოცული  
არას მოელის გამამხნევებელს.

მე მისთვის ვტირი... თუმცა ამაო ტირილი არვის არ ეხმარება,  
მაგრამ მე მაინც იმისთვის ვტირი  
და სიკვდილამდე ის მეყვარება.

დარია ხუნდაძისა.

### ი ს ი უ ლ

(ან. ჩესკავასა)

— გვიამბე რამე პეტრე ივანეს ძვე! — სთხოვეს პოლკოვნიკს ქალებმა.

პოლკოვნიკმა მძიმეთ ჩაახველა, ქალთა უღვაშები გადიგრიხა და დაიწყო:

— ერთხელ, 1843 წელში ჩვენი პოლკი ჩენსტოხოვში იდგა. უნდა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, რომ იმ წელიწადს საშინელი მკაცრი ზამთარი იყო: ისე დღე არ გაივლიდა, რომ ყარაულებს ყურები ან ცხვირი არ მოჰყინოდათ; ქარ-ბუქი ხომ გზებს სულ თოვლით ავსებდა! ოქტომბრის დამლევს რომ დაიწყო ყინვები, თვით აპრილამდის არ შეწყვეტილა. ამასთანავე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროებში მე ასეთი განხუნებული ბებერი როდი გახლდით; წარმოიდგინეთ, ყოჩაღზე უყოჩაღესი ვიყავი! მარტო სისხლი და რძე — ვარდივით ვყვარდი; ვკობტაობდი ისე, როგორც კარგი ფარშავანგი და უმოწყალო ფულეხსაც ვფანტავდი. უღვაშებს ისეთნაირათ ვიგრებდი, რომ, ვგონებ, მთელ დედამიწის ზურგზე ვერც ერთი პრაპორშჩიკი ისე უღვაშების გადაგრეხას ვერ მოახერხებს. ოღონდ კი თვალი მექნია, დეზები ამეწყარუნებია, უღვაშები გადამეგრინა და, რაც უნდა ამაყი და ულამაზესი ქალი ყოფილიყო, ხელიდან ვერ წამივიდოდა. ქალებს ისე ვემტერებოდი, როგორც ობობა ბუზებს. აბა ანგარიშში იმდენი ნიშნები სად იქნება, რომ აფნიშნო, რამდენი კეკლუტი პოლონელები და მალოროსიელი ლამაზები მეხვეოდენ კისერზე. ყველა ამაყებს ისიც უნდა დაეუმატო, რომ მე პოლკის ადიუტანტი ვიყავი, მაზურკას საუცხოვოთ ვთამაშობდი და ულამაზესი ცოლი მყავდა, — ღმერთმა ნათელი დააყენოს იმის



სულს. ვერც კი წარმოიდგენთ, რა გიჟი და თავზე ხელაღებული ვიყავი!.. მთელ მახრაში თუ კი ქალს ვინმე მოიტაცებდა, ან ურიას ვინმე წვერებს გამოაგლეჯდა და ან პოლონელს ცემით ცხვირს ვინმე გაუსიებდა—ქვეყანამ იცოდა, რომ ამის ჩამდენი მხოლოდ პოლპორუჩიკი ვივერტოვი იყო.

როგორც პოლკის ადიუტანტს, მე ხშირათ აქეთ-იქით სიარული მიხდებოდა: ხან შვრიის საყიდლოთ წავიდოდი, ხან დაწუნებულ პოლკის ცხენებსა ვყიდდი; უფრო ხშირათ კი, ჩემნო შეენიერნო, სამსახურის მიზეზით ლამაზ ცუგრუ-მელებთან ან მდიდარ მემამულეებთან ქალაქის სათამაშოთ მივიპარებოდი ხალხე... ერთხელ, ვგონებ, შობის წინა ღამე იყო, უფროსმა სოფელ შეფელკში გამგზავნა. საშინელი ცუდი ამინდი იყო... ყინვა ისეთ ნაირათ მძვინვარებდა, რომ საბრალო ცხენები სულ კრუსუნებდნენ; ხოლო მე და ჩემი ქუჩერი სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში ორ დიდ ყინულის ნაქრათ გადავიქეციო... ყინვას, როგორც იქნებოდა, გავუძლებდით, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ზედ შუა გზაზე ქარიშხალი ამოვარდა. საშინელი კორიანტელი დატრიალდა. თოვლის ძოდები ისეთი აურზაურით პროწილებდნენ, გვეგონებოდათ ვშმაკის თავზე სახარებას კითხულობდნო. ქარი ცოლწარმეული ქმარივით კენესოდა; ყველაფერი აირ-დაირია და გზაც დაგვარგეთ. ათი წუთის განმავლობაში ცხენიან-კაციანა თოვლში ვაგვხვეით.

— თქვენო კეთილშობილებავ, გზა დაგვარგეთ! — მითხრა მხლებელმა.

— აი, ვშმაკმა კი წავიღოს! მერე რას უყურებდი, შე ჯირკვო შენა?! გასწი პირდაპირ, ეგება სახლს წავაწყდეთ სადმე!..

ვიარეთ, ვიარეთ, ვიტრიალეთ ერთ და იმავე ალაგას და ბოლოს, როგორც იქნა, ქისკარს მივადექით, რომელიც, როგორც ესლა მაგონდება, მდიდარ მემამულეს პოლონელ გრაფ ბოიადლოვს ეკუთვნოდა. მართალი მოგახსენოთ, პოლონელები მეტათ სტუმრის მოყვარულნი არიან და არც მოიძებნება დედა-მიწის პირზე იმათი ქალებისთანა ნდომიანი ქალი...

შევედით ეზოში. თვითონ გრაფი იმ უამათ პარიჟში იყო და ჩვენ მისმა მამულის გამგემ პოლონელმა კაზიმირ ხაპცინსკიმ მიგვიღო. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამგის ფლიგელში გახლდით გამოქიმული და მის ლამაზ ცოლს ვეჭუქუქებოდი. თანაც ღვინოს ვსვამდი და ქალაქის ვთამაშობდი. რადესაც ხუთიოდე თუმანი მოვიგე და თქვენი მოწონებულები გამოვთვერი, მასპინძლებს დასაძინებლათ გამოვემშვიდობე. რადგანაც ფლიგელში თვითსუფალი ალაგი არ იყო, ამიტომ გრაფის სასახლეში მომასვენეს.

— მოჩვენებისა არ გეშინია? — შევეკითხა გამგე, როცა ოთახში შემეყვანა, რომლის გვერდითაც უზარმაზარი, ცალიერი, ცივი და ბნელი ზალა იყო.

— განა იცის ხოლმე აქ მოჩვენებები? — შევეკითხე მე და თანაც ყურს ვუგდებდი, ჩემ ხმას როგორ იმეორებდა ცალიერი ზალა.

— არ ვიცი, — ჩაიციანა გამგემ, — მაგრამ მე მგონია, რომ ეს ადგილი სწორეთ მოჩვენებებისა და მავნე სულებისთვისაა მოწყობილი.

ღვინო ცოტა ზედ-მეტი მომივიდა და ისეთი ვალე-

შილი გახლდით, როგორც კარგი ტიქტორა, მაგრამ, ვამოტეხილი სჯობია, გამგეს სიტყვებმა ცივი ოფლი მომადინეს. ხუმრობაა! ასი ჩერქეზის შეხვედრა მირჩენია ერთ მოჩვენებას! მეტი რა ღონე მქონდა—გავიხადე და გავგორდი ლოგინში... სანთელი ოდნავ ანათებდა კედლებს, რომლებზედაც უშველებელი, ერთი-მეორეზე უფრო საშიში სურათები, ძველი იარაღი, სანადირო ბუკები და, ვინ იცის, კიდევ რა არ ეკიდა. ზალაში სამარისებური სიჩუმე იდგა, მხოლოდ აქა-იქ თავგები დახტოდნენ. გარეთ კი, ფანჯარასთან, რაღაც ჯოჯოხეთური ხდებოდა... ქარი მწარეთ მოტირალი ქალივით გაჰკიოდა, რომელსაც შესაზარი ზმუილით ხეები ბანს აძლევდნენ. რაღაც ჯანაბა, ვგონებ «სტავნა» იყო, უცნაურათ წრიპინებდა და ფანჯრის ჩარჩოს ერახუნებოდა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, ძალი პატრონს ვერა ცნობდაო, ისეთი ამბავი ხდებოდა გარეთ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თავი ღვინისაგან-საშინლათ მიბრუნავდა და თავთან ერთათ მთელი ქვეყანაც... ერთი სიტყვით, დავხუჭავდი თუ არა თვალებს, მეღანდებოდა, თითქოს ჩემი ლოგინი ამ უზარმაზარ სახლში დაფრიალებდა და ქინკებს ეთამაშებოდა. შიშის შესასუსტებლათ სანთელი დავაქრე, რადგანაც ცალიერი ოთახი ნათელი უფრო შესაშინებელია, ვიდრე ბნელი...

ქალები პოლკოვნიკს ახლოს მიუახლოვდნენ და სულგანაბულნი სმენათ გადაიქეცნენ.

— დიან, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — თუმცა ბევრი ვეცადე დამეძინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ვინ იცის, რა არ მეღანდებოდა! ხან ვითომც ფანჯარაში ქურდები ძვრებოდნენ, ხან ვითომც ვილაცას ჩურჩული მესმოდა, ხან თითქოს ვილაც მხრებზე ხელებსა მკიდებდა. ერთი სიტყვით, შიშისაგან გონება სრულებით დაგვარგე. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ ჯოჯოხეთურ აურზაურში საკმაოთ მკაფიოთ გავარჩიე ქალის ფოსტლების ფლასტუნი. დაუფედე ყური... ო, ღმერთო ჩემო, ვილაც ჩემი ოთახის კარებთან მოვიდა, ჩახველა და კარები გააღო!..

— ვინ არის? — შევეკითხე მე და თან ლოგინში წამოვჯექი.

— მე ვარ, მე... ნუ გეშინია, — შემომესმა ქალის ნაზი ხმა.

წამსვე კარებისაკენ გავეშურე... და ორი წუთის განმავლობაში ქალის შევნიერი ნაზი ხელები კისერზე მაგრათ შემომეხვია.

— მე შენ მიყვარხარ... მთელ ქვეყანას მირჩენიხარ, — ჩამჩურჩულებდა ქალის ტურფა ხმა.

ქალის მოხვევამ სრულებით დამავიწყა ქარიშხალი, მავნე სულები და მთელი ქვეყანაც; ვაშმაგებულმა ხელები მაგრათ წელზე მოვხვიე... მაგრამ რა წელზე, რომ იცოდეთ!.. ბუნება ამისთანა წელს ათ წელიწადში ერთხელ თუ უწყალობებს საბრალო ქვეყანას... გრძელი და კოხტა, თითქოს გამოშალაშინებულთაო, მხურვალე და ნაზი—ნაზი, როგორც უმანკო ბავშვის სუნთქვა! ვეღარ მოვითმინე, გულში მაგრათ ჩავიკარ... და თავდავიწყებული მის ტუჩებს დავეწაფე... ეჰ! ვფიცავ მთელი ქვეყნის ქალებს, რომ მე ის კოცნა სიკვდილამდის არ დამავიწყდება.



პოლკოვნიკი შეჩერდა, წყალით სული მოიბრუნა და შემდეგ ხმა-დაბლა ისევ დაიწყო:

— მეორე დღეს, როცა გარეთ გამოვიხედე, დავინახე, რომ ქარიშხალი უფრო მძვინვარებდა... მგზავრობა ყოვლად შეუძლებელი იყო. იძულებული გავხდი მთელი დღე გამგესთან დავრჩენილიყავ და დრო ქალაქის თამაშში და ღვინის სმაში გამეტარებია. საღამოს ისევ ცალიერი ოთახი და შუალამეზე ნაცნობი ქალის ხვეწნა-აღერსი.. დიახ, ქალებო, დიახ! თუ არ სიყვარული— ცუდათ იყო ჩემი საქმე: ან მოწყენილობა მომიღებდა ბოლოს და ან ღვინო!..

პოლკოვნიკმა ამოიოხრა და ოთახში ჩუმად გაიარა-გამოიარა.

— მერე... მერე რაღა მოხდა?—მოუთმენლათ შეეკითხა ერთი მსმენელთაგანი.

— არაფერი. მეორე დღეს შინსაკენ გამოვემგზავრე.

— ...მაგრამ... ნეტავი ვინ იყო ის ქალი?—გაუბედავთ შეეკითხნენ ქალები.

— რასაკვირველია, ის.

— ვინ ის?..

— ჩემი ცოლი!

ქალები ბზიკ-ნაკბენივით წამოცვივდნენ.

— ესე იგი... როგორ თუ თქვენი ცოლი?—შეეკითხნენ ისინი.

— ოხ, ღმერთო ჩემო, რა არის აქ გაუგებარი?—უკმაყოფილოთ წარმოთქვა პოლკოვნიკმა და მხრები აიჩეხა.—მე, ვგონებ, საკმაოდ გარკვევით ვლაპარაკობდი! როცა შეფვლკში წავედი, ცოლი თან მახლდა... ღამე ის იქვე, მეორე ოთახში იწვა... მორჩა და გათავდა! მმ!..—წაიდუღუნეს ქალებმა და სახეზე უკმაყოფილება დაეტყუათ.—რა კარგათ დაიწყეთ და რა ცუდათ გაათავეთ... ცოლი მეხვევოდა... აქ საინტერესო არა არის რა და... არც საყურადღებო.

— მიკვირს, ღმერთმანი! მაშ თქვენ გსურდათ, რომ ის ქალი ჩემი კანონიერი ცოლი კი არა, არამედ სხვა ვინმე უცხო ქალი ყოფილიყო?!. ეხ, ქალებო, ქალებო! თქვენ რომ ეხლავე მაგას ამბობთ, რაღას იტყვიან და იზამთ მაშინ, როცა გათხოვდებით ა?..

ქალებს ცოტა არ იყოს შერცხვათ და გაჩუმდნენ. გაიბუტნენ, მოიღუშნენ, მოიწყინეს და იმედ-გადაწყვეტილნი მთქნარებას მოჰყვეს... ვახშამი აღარ უქამიათ, მხოლოდ გაჩუმებულნი პურის გულს არგვალვდნენ.

— არა, ეს თითქმის... უსინდისობაა!—ველარ მოითმინა ერთმა მათგანმა და წამოიძახა.—არა, ერთი მითხარით, რა საჭირო იყო ამის მოყოლა, თუ ამისთანა ბოლო ექნებოდა? არავითარი საყურადღებო ამ ამბავში არა არის რა... ცალიერი სისულელეა!

— საუცხოვოთ დაიწყეთ და უფეროდ ბოლო კი მიავლიჯეთ...—დაუმატა მეორემ,—ეს დაცინვაა და მეტი არაფერი.

— კარგია, კარგი, ქალებო... მე ვიხუმრე...—უთხრა პოლკოვნიკმა...—ნუ ჯავრობთ, თუ ღმერთი გწამთ, მე გეხუმრეთ. აბა ჩემ ცოლს იქ რა უნდოდა, ის გამგის ცოლი იყო...

— მართლა?!

ქალები ერთბაშად გამხიარულდნენ, თვალები ცეცხლივით აწვთოთ... პოლკოვნიკს ახლოს მიუხსდნენ, უსხამ-

დენ ღვინოს და კითხვებით თავი მოაბეზრეს. ყველანი გამხიარულდნენ. მოწყენილობას ბოლო მოეღო; მარცხით ვახშამსაც ბოლო მოეღო, რადგანაც ქალები დიდის მადითა და გულ-მოდგინებით შეუდგნენ ვახშმის განადგურებას.

ს.ი.

### ინტელიგენცია და ეროვნება.

ბ. ა. ჯორჯაძემ რამდენიმე წერილი უძღვნა ჩვენ მკითხველ საზოგადოებას, რომლებიც იმდენათ საყურადღებოა, რამდენათაც ავტორი ცდილობს ძველი ჩონჩხი ახალ, ნაზ ტყავში გამოხვიოს. იგი მონღომებულთა ამ ნაზ ტყავში თავი მოუყაროს ურთიერთ შორის მკაცრ მოწინააღმდეგეებს, ცდილობს მოარიგოს ისინი და მით ვლფერი და მიმდინარეობა შეუცვალოს ჩვენი ცხოვრების უტყუარ აუცილებლობას.

სამწუხაროთ, ბ. ა. ჯორჯაძე უფრო დიდ ყურადღებას აქცევს სიტყვების გარეგნულ გამოხატულებას, სილამაზეს, ვინემ საგნის შინაგან ძალას და მის შინაარსს. აი როგორ: გადახედა რა მან ინტელიგენციას, გვაუწყა, რომ «ინტელიგენციის დახასიათოვნებაში (დახასიათებაში) წოდებრივ და პროფესიონალურ პრინციპით არ უნდა ვიხელმძღვანელოთო». მაგრამ ის კი ვერ გაგვიძნია, თუ რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ აწი მაინც ჩვენ თვალში ინტელიგენცია ერთ გარკვეულ კატეგორიას შეადგენდეს, ერთი სახელი ქვიოდეს, ერთ გზაზე ვიდადეს. ავტორმა თვითონ მოინდომა ამ სიბნელიდან გასვლა და გვითხრა, რომ «ისტორიულ მსვლელობაში ინტელიგენციას ხშირათ წოდებრივი და პროფესიონალური ხასიათიც ჰქონიაო». აქედან გამოდის, რომ ჩვენ დროში «წოდებრივი და პროფესიონალური» ხასიათი ინტელიგენციას არ აქვს, თუმცა «ისტორიულ მსვლელობაში», ახალში თუ ძველში არ ვცით, ინტელიგენციას პროფესიონალური და წოდებრივი ხასიათიც ჰქონია. ჩანს, ძველი ინტელიგენცია იმდენათ განსხვავებულია ახლისაგან, რამდენათ ძველი ისტორია ახლასაგან განსხვავდება. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავიგეთ მისი აზრი, ახალი ინტელიგენციის მოსანათლავათ შეთხზული! აი, თუ გნებავთ, თვითონ მას ავახსენებოთ: „ჩვენ დროშიც სხვა-და-სხვა ერთა ცხოვრებაში ინტელიგენციას არა აქვს ერთი და იგივე მოქმედების მიზანი და მისი ღირსება-ნაკლულეფანება ერთი და იგივე ზომით არ გაიზომება“. აქ ვითომ დააბი-რა ბნელში სინათლის შამოტანა, რომელიც მოხდებოდა მაშინ, რომ მას ამ ისტორიული შეხედულების მზავსათ ჩვენი ინტელიგენცია დაენაწილებია და ეთქვა, რომ ჩვენი ინტელიგენცია დანაწილებულია და მის ნაწილებს „არა აქვს ერთი და იგივე მოქმედების მიზანი“ და „მისი ღირსება-ნაკლულეფანება“ გაიზომება იმ იდეალით, რომელიც ერთმა ან მეორემ ცხოვრებიდან ამოიღო და შეადგინა-უამისოთ რასაკვირველია ცხადია, რომ ერთი «ერის ინტელიგენცია მეორისას არ წაავაგეს იმდენათ, რამდენათაც ერთი ერის ბუნებრივი, გეოგრაფიული და ისტორიული წრე მეორისას არ წაავაგეს. მაგრამ კითხვა იმაშია, თუ ერთი ან მეორე ერის „ინტელიგენცია“ რომელი ერის ცხოვრებას ეტრფის, რა ნაირი იდეალი შეადგინა, და თუ კულტურულ ერში არსებულ იდეალებს ნიადაგი აქვს უკუულტურო ერშიაც. და რომ აქვს ნიადაგი, ამის უტყუ-



არი მოწამე საერთაშორისო იდეალის ზრდა გახლავთ. ამ ნაირათ, ბ. ჯორჯაძემ ვერ აგვიხსნა, თუ რას ნიშნავს ჩვენი ინტელიგენცია, და რადგან ვერ აგვიხსნა, ის ისევე ბნელში დარჩა.

აი კიდევ ერთი ნიმუში: „ინტელიგენციის ტიპური თვისებები უნდა გვეკონდეს მხედველობაშიო, ამბობს იგი, იმისთანა თვისებები, რომელიც, ცხოვრების ცვლილებათა მიუხედავად (sic!), ყოველთვის ინტელიგენციის არსებობას კუთვნილებას შეადგენენო“. ავტორს ვთხოვთ ინტელიგენციის კონკრეტულ თვისებების წამოყენებას, ის კი რაღაც „ტიპურ თვისებებზე“ გვესაუბრება, და ისიც, ნუ დაივიწყებთ, „ცხოვრების მიუხედავად“. მაშასადამე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შვილი ინტელიგენცია იქნება იგი ამ ქვეყნისა და ცხოვრების გარეთ! ჩვენთვის ინტელიგენცია უცვლელ და უძრავ სიდიდეს არ წარმოადგენს, და მისი რომელიმე ნაწალის „ტიპური თვისებები“ ვთანხვებთან იმ ეკონომიურ კლასის თვისებებს და იდეალს, რომელთანაც იგი ერთდება, და იბრძვის თავისუფლებას მოსაპოვებლათ. ამიტომ ვამბობთ, რომ „ცხოვრების მიუხედავად“ მისი «ტიპური თვისებების» დანახვა მიკროსკოპითაც კი შეუძლებელია. იგი ცხოვრების უღმობელ კანონებს ემორჩილება, ურადგება ან ებრძვის თანამედროვე წეს-წყობილებას საზოგადო კლასებთან ერთათ, მაშასადამე, „ცხოვრების ცვლილებათა“ ცვლას მოყვება მისი შეცვლა-გარდაქმნაც.

ივანე, პეტრე და სხვა მოქმედობს თავის ნივთიერ, სულიერ და ადამიანურ ინტერესის დასაკმაყოფილებლათ, მაგრამ ისინი მოქმედებენ მაშინ, როცა მათი ინტერესი თვალ-საჩინო, კონკრეტულია. აი, სწორეთ აქ იხადება ივანე და პეტრეს იდეალი, რომლია მსგავსათაც სურთ თავის მომავალი ცხოვრების მოწყობა, რომლის განხორციელებისათვისაც ისინი მოწინააღმდეგეს ებრძვიან. ასეა, როცა ჩვენ საქმე სინამდვილესთან გვაქვს.

საზოგადოთ, თანამედროვე ინტელიგენციის ფარგალში შედიან როგორც წოდების, ისე პროფესიონალობის წარმომადგენელნი; როგორც ბიუროკრატიზმის, ისე დემოკრატიზმის მომხრეები. აი, ამათ კრებას, ყველას ერთათ ჩვენ ინტელიგენციას ვუწოდებთ. მაგრამ ჩაიხედეთ შიგ, რამდენი სხვა-და-სხვაობაა! ვაზომეთ ერთიან მეორეულე, რა დიდი მანძილია! რა საშუალებათ გსურთ, რომ თვალ-საჩინო სხვა-და-სხვაობა შეაერთოთ და ერთი პრინციპით ამოქმედოთ?!

ამნაირათ, თუ გვსურს ინტელიგენციისათვის თავისი საკუთარი სახელწოდება, ამისთვის საჭიროა ცოტა შრომა და გარჯა, რომ მისი გარეგანი, შინაგანი, პოლიტიკური და სოციალური თვისებები თვალწინ დავიყენოთ. მაგრამ რადგანაც ინტელიგენცია ერთობლივ ჩვენს სახელწოდებას არ ემორჩილება, ამიტომ, ცხადია, ჩვენ სხვა საშუალება უნდა მოენახოთ; უნდა მოენახოთ მისი კონკრეტული ინტერესი, ნაწილები და მასთან სახელი.

ბ. ჯორჯაძე მეტათ გაუტაცია ორ კითხვას: ინტელიგენციის სიძლიერეს და ყოვლის-შემძლეობას, და მის სამოქმედოთ საერო საქმეებს. ამიტომ მეტი ციტატების მოყვანა საჭიროთ დავინახეთ, რომ ავტორმა თვითონ გასამართლოს თავის თავი. იგი ამბობს: «დიდ რევოლიუციის შემდეგ ევროპის ინტელიგენციის ბურჟუაზია შეადგენდა და ამ ბურჟუაზიის მისსია იყო დემოკრატიულ და-

წესებულებათა შექმნაო». ამნაირათ, 1871 წ. რევოლიუციის შემდეგ ხანას ეკუთვნის. ამასთანავე 18 მარტს 1871 წელს პარიჟში რომ კომუნალური მთავრობა შედგა, სულ ერთიანათ «ბურჟუაზიულ ინტელიგენციის» საქმე, სურვილი ყოფილა! მაგრამ ამავე წლის გასულს რომ კომუნა დაარღვიეს, ეს კი დემოკრატიულ ინტელიგენციის მოქმედებაა განა?! ნუ გაგვიჯავრდება, და დომხალივით არედ-დარვეის გარდა ჩვენ აქ არაფერს ვხედავთ. თუ არ დაიჯერებთ, აი კიდევ ნიმუში: «ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც იმდენათ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენათაც ნაკლებ იყო იგი ბურჟუაზიული, და რამდენათაც მეტათ იყო იგი გამსჭვალული დემოკრატიული ინტერესებით». გაიგეთ რამე? ვერაფერი. მაშ «იყო და არა იყო რა»... ახლა გაიგეთ? კიდევ ვერაფერი. მაშასადამე, აქ არაფერი არ უნდა იყოს! ჰოო, ახლა კი გავიგეთ... ამნაირათ საიდუმლოებით მოკლული მკითხველის შთაბეჭდილება, და ახსნის თუ ვერა ბ. ჯორჯაძე ამ საიდუმლოებას, ჯერ არ ვიცით. ამის ნაცვლათ ვიცით, რომ არსად ბურჟუაზიული ინტელიგენცია არადღეს დემოკრატიული ინტერესებით გამსჭვალული არ ყოფილა, თუ არა თავის ბუნებრივ სიკეთის მიხედვით მას დემოკრატიული ერქმეოდა. ამგვართვე, არსად დემოკრატიული ინტელიგენცია არ ყოფილა ბურჟუაზიულ ინტერესებით გამსჭვალული; თუ არ დაიჯერებთ, ერთი ისტორიული ფაქტი მაინც წარმოგიდგინეთ...

მაგრამ ცდება ბ. ჯორჯაძე და ცდება იმისთვის, რომ დიდ რევოლიუციის წინამორბედ ბურჟუაზიის თვალწინ იდგა საქმაოთ განვითარებული ხალხის საწარმო-ეო ძალა, რომლის დაფარვა და შენახვა ფეოდალურ სამოსელში ისტორიულათ შეუძლებელი იყო. ცვლილებების შემოღება საჭირო იყო როგორათაც ბურჟუაზიისათვის, ისე მშრომელი ხალხისათვის, მაგრამ კითხვა იმაში იყო, თუ ვინ უფრო მეტს წაიღებდა აქედან, ისარგებლებდა. ეს უკანასკნელი ერთისა და მეორის შესაფერათ მომხადებამ გადაწყვიტა. ამიტომ 89 Declaration des Droits de l'homme et du citoyen ნათელს ჰფენს ერთისა და მეორის პოლიტიკურ თავისუფლებას, მაგრამ დარჩა უმთავრესი — კონომიუზი. მიუხედავთ ამისა égalité politique et sociale de tous les citoyens; respect de la propriété; souveraineté de la nation; liberté de la parole et de la presse და სხვათა მოპოვება შეერთებულათ ამოქმედებდა ხალხს, რომლის შედეგით რევოლიუცია იყო. რევოლიუციის შედეგი კი ფეოდალ-მონარხიულ წყობილების დარღვევა შეიქნა. ამის ნაცვლათ სახალხო კონსტიტუცია, გინდა რესპუბლიკა წარმოღვა, მაგრამ რომელსაც თან დაყვა უმეტესათ ბურჟუაზიული ინტერესი, გაკლენა. როგორც ხედავთ, ახლანდელი რესპუბლიკა უფრო დემოკრატიულია, ვინც ფეოდალურ ხანაში არსებული წყობილება, მაგრამ ამ რესპუბლიკაზე უფრო დემოკრატიული 1871 წ. კომუნალური მთავრობა იყო, რომელიც ბურჟუაზიამ დაარღვია. მაგრამ ბ. ჯორჯაძე ურევს, ურევს იმითომ, რომ დემოკრატიული მიზანი ბურჟუაზიულისაგან ვერ გაურჩევია.

ი. ფარიანი.

სამშობლოს ცახე.

ქართული პრესის პაპის-პაპა „ივერიას“ მეოცე საუუკუნეში ორი შესანიშნავი პუბლიცისტი ამოუდგენ ყა-

ვარჯნებით. ერთი „ინ-ანი“ უკვე აღნიშნა ჩვენმა „მოსაუბრემ“ წარსული კვირის „კვალის“ ნომერში, ხოლო მეორესთან ბოდიშს ვიხდით გულმადვიწყობაზე.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ „პაპის-პაპას“ ეს ორი ყვარჯენი აქეთ-იქით ეწევიან და ისიც გათათხული ხან ერთისაკენ აქნევს თავს, ხან მეორისაკენ: პირველი „ინ-ანი“ ჩაფრენია ჩვენ გლეხს ფარაჯაში და ზედ „ივერიის“ კალმით აწერს: „აი პროგრესია!“ ხოლო მეორე კი ბ-ნი «კლდია» სულ სხვა მხრისაკენ ეზიდება მოხუცს და მისივე პირით ურჩევს მთლათ ქართულ პრესას იმავე გზისაკენ დაქანებას. აი ეს გზაც: რადგანაცაო, — ამბობს ბ-ნი „კლდია“ ერთ თავის წერილში, — ქართული ძველი ხელნაწერები დღემდის არ არიან დაბეჭდილნი, ამიტომ ქართულმა გაზეთებმა უნდა გაინაწილონ იგი და ბეჭდონ თავის ფურცლებზეო. ასე რომ «კლდიას» აზრით, ქართული ჟურნალ-გაზეთობა უნდა გადაიქცენ არხეოლოგიურ ნაშთთა გამოცემებათ და იმის მაგიერ, რომ მათ პირდაპირი თავის მოვალეობა შეასრულონ და ჩვენ დღიურ ქირ-ვარამზე გველაპარაკონ, მათუსაღის კარაბადინებიდან უნდა გვაძლიონ ქართველ მკითხველს რეცეპტები. რასაკვირველია, ეს ახირებული პროექტი დაჩნება ხმათ მლადებლისათ ქურუმთა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზედვე, მაგრამ ვანა არა ჯობს ამ გაზეთმა ისევ „მარიაშ მოტლანდიელის“ „ინ-ანის“ მიერ თარგმანი ბეჭდოს, ვიდრე ამისთანა პროექტებს აძლევენ ადგილს?

\* \* \*

ბათუმის თვით-მართველობა ამ საუკუნეში სულ აბრუნდ-დაბრუნდისა თამაშობს. ხან საბჭოს ერთი წევრია ქვეშ, ხან მეორე. ხან ვოლსკის კილია ჯაჭვბ, ხან ივანოვის. ხან ერთი მტყუანია გამოდის მართლად, ხან მეორე და საკვირველი ის არის, რომ «სტატიები» ორივეს ერთნაირათ ამართლებენ და ამტყუნებენ. ასეთია ყოველი ზღვის პირის ქალაქი და ასეთია ბათუმიც, ვინაიდან იქაც აღშფოთებულ ზღვის ტალღებს თავს დასტრიალებს ყორანთა გუნდი ბ-ნ პალმის წინამძღვრობით. წარსულ კვირას, რამაჯ იყო და როგორც იყო, ჯაჭვი ქალაქის თავისა ივანოვის შერჩა კისერზე. მაშ მოვიცადოთ, ვიდრე..

ვიდრე ბათუმიდანაც რომელიმე „დაყუდებული“ არ აღაპყრობს ხელებს სინანულის ღმერთას წინაშე და არ იტყვის ოზურგეთელებივით: „შევცოდეთ, უფალო, რამეთუ ვერ ვნახეთ ქვა, რომელსა ზედა გადავიმტვრიეთ კისერი; შევცოდეთ, უფალო, რამეთუ ბევრისა მსურველებმა მცირედიც დავკარგეთ და აწ იხილე სიგლაზე ჩვენი და მოხედე „დაყუდებულსა“ და ექსორია\*) ქმნულსა მონასა შენსა და მიითვალე ცრემლები ჩვენიო“.

\* \* \*

ამ ორი თვის წინეთ კავკასიის არე-მარეს, მაღლა შეთავლილ მთებს და ძირს ყვავილოვან ველებს მოადგა შუქი, დიახ რომ საუცხოვო და არაქვეყნიური. ეს არ იყო ზეციდან გამოტყორცნილი მნათობთა სხივი, არ იყო ეს არც განთიადის პირველი ღიმილი, არ იყო ეს არც რომელიმე სადღესასწაულო დიდ სადილ-ვახშამ-ბალ-ვეჩერების დიადი ილიუმინაცია! არა, ეს იყო სულ სხვა მხრიდან და სხვა კუთხიდან ჩვენდა სასიქადულოთ მოვლენილი; ეს იყო ახალი რუსული საკვირაო გაზეთი

\*) ექსორია — გაქევა.

„არგონავითი“. ისტორიულათ რომ აფხსნათ სიტყვა „არგონავითი“, ეს შორს წაგვიყვანს, ჩემო მკითხველო, ხოლო მოკლეთ კი ვიტყვი, რომ არგონავთები იყვენ საბერძნეთიდან საქართველოში მოსული ყაჩაღები, რომელთაც ოქროს მატყლოვანი ვერძი მოიტაცეს. მაგრამ დღეს ჩვენ სრულებით მშვიდათ შეგვიძლიან მივდვათ ბალიშზე თავი, ვინაიდან ტიტველ კაცს რაღას გახდი და მოპარავ; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტიტველსა სცივა და მოდი და გაყინულმა მოისვენე და დაიძინე! ხოლო ეს სხივოსანი მეზღვაური აი რას გვეუბნება თვისი მოსაუბრის „ძველი ნაცნობის“ პირით: ქართული გაზეთები ბჭობენ და კამათობენ „იპისთანა ფილოსოფიურ და მომეტებულ ნაწილათ ქართველი მკითხველისათვის გაუგებარ საგნებზე, როგორც, მაგალი., „ისტორიული მატერიალიზმი“, „ლიბერტიური მატერიალიზმი“ და სხვაო“. როგორც ემჩნევა, ჩვენი „მეზღვაური“ ქართველ მკითხველს თავის არშინითა ზომავს და არც საკვირველია, ღრუბლების ოკეანეში მოსრიალეს მიწაზე მცხოვრებლებისა და მიწიური არა გაეგებოდეს რა. ამიტომ ჩვენ ვურჩევთ პატივცემულ «არგონავთს» გამოცვალოს თვის ფუტურო იალქნებზე ძველი მიმტვრეული ფარნები და იქნება მეტი რამ დაინახოს, ვიდრე ის ეხლა ხედავს; თორემ ეს ვერაფერი ხერხია მისთვის მკითხველების შესაძენათ.

\* \* \*

იმავე „არგონავთმა“ წარსული კვირის ნომერში ჩვენს „მოგზაურს“ ერთი ტკბილი კომპლიმენტი მოართვა იმავე „ძველი ნაცნობის“ პირით. ღმერთია გულთა მხილავი, რომ არა გვშურს ბ-ნ როსტომაშვილისათვის ამისთანა ტკბილფელობანი და ამიტომ არ შემოძლია მეც «მოგზაურის» ხურჯინიდან არ ამოვიღო ერთი-ორი ნაზუქი და არ მივართვა „კვალის“ მკითხველებსაც. «მოგზაურის» უკანასკნელ ორ ნომერში იბეჭდებოდა ვინმე მ. ლასურბის პოემა. ავტორი თუმცა ახლათ გამოვიდა მუხათა მოედანზე, მაგრამ უკვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება თავის პოემის «დავით აღმაშენებელით». მაგრამ მკითხველი რომ ექვეში არ შევიყვანო, ჩემს აზრს დავასაბუთებ ამავე პოემიდან სრულებით შემთხვევით ამოკრეფილ რამდენიმე ტაებით:

„ქორანიკონი იყო ტლე  
როს მძვინვარ მტერს თავს ესხა ტლე  
მუცელს შეჟუარა სატლე  
და რუსთავეტ აღერთო სათლე;

კახეთს მეფობდა კვირიკე,  
ხელს არ სკიპტრა ეპყრა რივე,  
ზედაზენ ვით ქაჩქარავე,  
მეფევე, შენ მას გაურჩეუ!  
ვითარცა კუდი ძაღლისა

არ როს განემართებისა... და სხვა, აი, სულ ამისთანა მარგალიტები. შემოკრბით ლინგვისტრო მთელი-სა ქვეყნისანო და გავგავებთ, რა ენაზე ლაპარაკობს ჟურნალი «მოგზაური». ხოლო ეს «ქარქარიკე», „გაურიყე“ და „მუცელს შეჟუარა სატლე“ კი უკვე აფიხსნა ერთმა გულკეთილმა ადამიანმა: „ქარქარიკე“ ნიშნავს თურმე „ქანქარს“, ანუ ვერცხლს, რომელიც დიახ რომ ფრიად საჭიროა ყოველი «მოგზაურისათვის». «გაურიყე» ნიშნავს, რომ ეს „ქანქარი“ გაურიყე „მოგზა-



ურს“, ვინაიდან ორი ნომერი უკანასკნელათ მან ერთათ «შეარყა», რადგანაც ცალკე-ცალკე «გამორიცხება» თვითული ნომრისა აღარ ძალედვა მას, და ეს „მუცელს შეეყარა სატლე“ ვახლავთ უკანასკნელი ბიულეტენი „მოგზაურისა“, რადგანაც მეტის მეტათ ძველ საქმელებს მისთვის მუცელი აუტკივებია. ეს ერთი ნაზუქი «მოგზაურის» ხურჯინიდან.

მეორე კი თვით მის დაბადებიდანვე თან დაყოლილ თანამშრომელს ბ-ნ გვარამაძეს ამოვადებინათ. აი იმ გვარამაძეს, რომელმაც ერთხელ იმავე «მოგზაურში» ასე გაგვაცვივრვა: გურიაში თუ ფრინველს თოფი ესროლეს და მოარტყეს, ეს ფრინველი აღარ გაფრინდებოდა და იქნება კიდევ მოკვდესო. ეს არაფერი, ახლა უფრო სასიამოვნო ამბავს გვაუწყებს იგივე ავტორი გურული ფრინველების ცხოვრებიდან: თურმე გურიაში მღერიან არა თუ შაშვები, არამედ «ჩხარტყებიც». ნუ თუ იმისთანა საკვირველ ქვეყანაში, როგორც გურია ყოფილა, სადაც „ჩხარტყები“ არ კი ჩხავიან, არამედ „მღერიან“, არ მოიპოვება ერთი „ხილი“ მაინც! იქნებ გურიაში მთის ოდენა კიტრებიც იზრდებიან, ბ-ნო გვარამაძევ?

რიგოლეზო.

რობერტ კოხის სიტყვა ლონდონის კონგრესზე.

იმ დროს, როცა სამხრეთ აფრიკაში თოფების და ზარბაზნების შეუწყვეტილი სროლა ადამიანთა ამოწმველად, იმ დროს, როცა სსკ-და-სსკ სახელმწიფოები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რაც შეიძლება, მეტ ადამიანს მოუსპონ სიცოცხლე მოწინააღმდეგე ბანაკიდან, ლონდონში იკრიბებიან მეცნიერნი იმ აზრით, რომ ეს ათკაფურხეული და მოძულაბეული ადამიანები სიკვდილისაგან და განადგურებისაგან დაისხან. მე ვამბობ ამ დღეებში ლონდონში მომხდარ კონგრესზე ჭეჭრქის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების გამო. იმის გასაგებათ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჭეჭრქთან და აგრეთვე სსკ-ს გადამდებ სენთან ბრძოლა, მოკვლავ აქ რობერტ კოხის სიტყვის შინაარსი, რომელიც მან წარმოთქვა ხსენებულ კონგრესზე.

«ჭეჭრქის (ტუბერკულოზის) ბაცილის აღმოჩენის შემდეგ სრულებით ეჭვი აღარ უნდა ვიჭინოთ იმაში, რომ ჭეჭრქი, როგორც სახალხო სენი, სრულებით მოისპობა. ვხა, რომლის საშუალებით უნდა მიღწეულ იქმნას ეს მიზანი, მდგომარეობს იმის სისწორით გამოკვლევაში, თუ როგორ გადადის ეს სენი ერთი ადამიანიდან მეორეზე. იმ დედა-აზრმა, რომ თვითველ გადადებ სენში ჩვენ ვებრძოდით იმ თვისებებს, რომლებითაც ეს სენი ირჩევინ დახარხინ სენტაგან, უკვე გამოიღო შესაძინევი ნაყოფი. შაკობთან ბრძოლა გამოძევებს მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობის მიერ ხმარებული ზომები გამსჭვალული იქნებიან იმ აზრით, რომ ეს სენი გადასჭვთ არა ადამიანთ (ფილტვების შაკობის რამდენიმე შემთხვევის გარდა), არამედ თევზებს. სოლეის (ყამის) მოსპობა შეიძლება უწინარეს ყოვლისა სასმელი წყლის გაუმჯობესებით. სიცოცხლე მოისპობა ეველს ძაღლებისთვის ზირის ასაკიდან სახალდეზულა შემოდებით; რაც შეეხება ჭეჭრქს, ამ შემთხვევაში სენის გავრცელების უმთავრეს მიზეზათ, უეჭველია, უნდა ჩაითვალოს გადადება ერთი ადამიანიდან მეორეზე ნახველით, სსკ-და-სსკ გამონადენით ან განუვლით; მეშვიდრობა კი ძლიერ იშვიათათ ხდება ჭეჭრქის გავრცელების მიზეზათ. იმ კითხვის გამორკვევამ, შესაძლებელია თუ არა ჭეჭრქით ავთიმოფი

საქონლის რძის ან სოტრის საშუალებით ჭეჭრქის გადადება, — ორატორი იმეულ დაწვრილებით გამოკვლევისათვის მიმართა. ამ გამოკვლევამ გვჩვენა, რომ შეუძლებელია ადამიანიდან ჭეჭრქი ზირუტყვის გადადება. ამნაირათ დამტკიცდა, რომ ადამიანის და ზირუტყვის ჭეჭრქის შორის არავითარი მსგავსება არ არის. ამიტომ, ორატორის აზრით, შეუძლებელია ჭეჭრქი ზირუტყვიდან ადამიანს გადადოს».

გადავიდა რა კოხი იმ ზომებზე, რომლებიც უნდა ხმარებულ იქმნეს ჭეჭრქის გავრცელების წინააღმდეგ, მან უჩვენა, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა გაუმჯობესდეს ღონისძიებათა ზირობები, უნდა აღიკვეთოს ვიწრო და ნარტიან სადგომებში მრავალი ზირების ერთთ ცხოვრება. ამ მიზნის განსახორციელებლათ უნდა დაასრულდეს განსაკუთრებითი საყოველთაო საავთიმოფოები ჭეჭრქიანებისთვის. არც ერთ ქვეყანაში ისე არ შეიძინებულა ჭეჭრქიანების რიცხვი, როგორც ინგლისში, სადაც ეველსე უფრო მეტია ასეთი საავთიმოფოები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მცხოვრებთა ვადებულობას, შაკობინონ ჭეჭრქით ავთ განდომის ამბავი სათანადო დაწესებულებათ, როგორც ეს არსებობს საქონიაში, ნორვეგიაში და ნიუ-იორკში. ამასთან ერთათ ის სახლი და ის საგნები, რომლებთანაც რამე დამოკიდებულება ქონდა ჭეჭრქიანს, უნდა დასუფთავდეს დაზინფექციის საშუალებით და სახლს უნდა გააჩნოს, თუ რაში მდგომარეობს ეს სენი და როგორ ვრცელდება ის. სანატორიების შესახებ ორატორმა შენიშნა, რომ ზირველ საფურხრზე ჭეჭრქის მორჩენა შესაძლებელია; მაგრამ იგი დიდ მნიშვნელობას არ აძლევს სანატორიებს. გერმანიაში 226.000 ჭეჭრქიანიდან, რომელთაც სანატორიებში წამლობენ, მხოლოდ 4.000 რჩება. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ზეკით დასახლებულ ზომებს. განსაკუთრებით უნდა დავისა ამ შემთხვევაში ქალაქ ნიუ-იორკის მაგალითი, სადაც ჭეჭრქით სიკვდილი ასეთი ზომების წყალობით 1886 წლიდან შემცირდა 35%.

დასასრულ ზირუტყვის კოხმა გამოთქვა ის იმედი, რომ ახლო მომავალში ადამიანი ვაიმარჯვებს ჭეჭრქის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კოხს გამოკვამათ მრავალი. სსკ-ათ შორის, ზირიუს ბროუ. ნოკარმა (Nocard) განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება კოხს იმაში, რომ ვითომც ძროხას ჭეჭრქი ადამიანს არ გადაება. ბეთალებზე არა იშვიათათ გადადის ძროხის ჭეჭრქი. ჩვენ ვიცით, — თქვა ნოკარმა, — რომ ინგლისში სანიტარულ და ჰიგიენურ ზომების გაუმჯობესებით ჭეჭრქისაგან სიკვდილი შემცირდა 50%. არ შემცირდა მხოლოდ ბავშვების სიკვდილი tabes mesenterics, ანუ ნ.წლებების ჭეჭრქისაგან ამის ერთათ-ერთ მიზეზათ უნდა ჩითვალოს ჭეჭრქის ძროხების რძე.

მეტათ სანიტარული იყო დ-რ ტატუმის მოხსენება, რომელშიაც ხსენებთ, თუ როგორ იკლო ინგლისში ჭეჭრქისაგან სიკვდილი სახლის საზოგადო მდგომარეობის გაუმჯობესების თანხმრათ. ორმოცი წლის წინეო ინგლისში ერთ მილიონ მცხოვრებელზე კვდებოდა მამაკაცებში 2,579 სული და დედაცრებში — 2,771 სული; ახლა კი მამაკაცი კვდება 1.521 სული ერთ მილიონ მცხოვრებლებში და დედაცრებში — 1.111 სული. დ-რ გრუნის (ბუდაპეშტიდან) მოხსენება გვჩვენებს, თუ სსკ-და-სსკ სელობათა ზირიუსიაში ჭეჭრქისაგან სიკვდილი როგორ არის გავრცელებული: ასოთამწეობნა იძლევიან 60,0/10, რესტორანების ღაქები — 52,0/10, მეჩქეები, მღებრები და მეწისქვილები — 49,4/10, დურგლები და ზეინ-

კლები — 48,5%, ქვის მტკნელები — 46,7%, თევზები — 41,8%,  
 მკურნალები — 39,5%, მკურნალები — 37,0%, მოსამსახურეები —  
 36%, მოხელენი (чиновники) — 33,6%, ყანაბები — 33,3%,  
 ვაჭრები — 28%, მიიტილები — 27,2%, ადვოკატები — 20,5%.  
 ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი კვების ექიმები (11,8%) და  
 შემდეგ ისინი, ვინც მამულის თუ ფულის სახეობით ცხოვ-  
 რებიან (10,6%).

წერილი რედაქციის მიმართ.

I.

ბ-ნო რედაქტორ! თქვენ პატივცემულ გაზეთის № 27  
 №-ში დასტამბულ ათორიდან გ. ნანელის კორესპონდენ-  
 ცია აქიური ქსენონის ექიმის ს. დ. ჯაფარიძის წინააღმდეგ.

ამ კორესპონდენციაში, სხვათა შორის, არის ნათქვამი,  
 რომ ვითომც სსკმ-ის ექიმი თავის დროზე არ მოსული-  
 ფოს ავთომეოფი უანამან გურულთან, თუმცა ერთი-ორჯო მკტი  
 გასამრველად მიერ-მით მისთვის.

რადგანაც უმეტესად აღწერილი გარემოება ეწინააღმდეგება  
 სიმართლეს, ამისთვის ჩვენ, როგორც ახლობელი განსვენ-  
 ბული უ. გურული და ამ საქმის დაწვრილებით მცოდნე, ჩვე-  
 თობრივ მოკვლევად ვთვლით ამ წერილის საშუალებით აღკ-  
 დებოთ ჭეშმარიტება.

განდა ავთ უანა უ. გურული, ჩვენ, მისმა ჭირისუფ-  
 ლებმა და მეზობლებმა, დაუფრთხილეთ მოკვამტიყთ ადგილობ-  
 რივი ქსენონის ფურშელი ს. სამთელაძე, რომელმაც, ავთ-  
 მეოფის გასინჯვის შემდეგ, გვიჩვენა ექიმის მოწვევა, რადგა-  
 ნაც ავთომეოფი ჭკუაზე შეშლილი აღმოჩნდა. ექიმ ჯაფარი-  
 ძისთან ჩვენთვის ისინდორე ნიორძე წავედი; თუმცა-და დი-  
 ლა ადრე იყო და მას იმ დროს უკანა, მაგრამ ჩემი მისკლი-  
 სთანავე გააღვიძეს და მაშინვე წამოვიდა ავთომეოფის ბინა-  
 ზე; გასინჯა ეს უანასკნელი, გამოუწერა წამლები, მოგვცა სა-  
 ჭირო დარბეზი და ამასთანავე გვიჩვენა მისი თფილისს წა-  
 ევანა. ამის შემდეგ, მანამ ავთომეოფის თფილისს წავიფანდით,  
 ექიმმა ჯაფარიძემ ეს უანასკნელი ინახულა ვიდრე ორჯულ ჩვე-  
 ნი მოწვევით და ერთსულაც ჩვენდა მოწვევულათ. ამ შრომი-  
 სათვის, როგორც მოგვაგონებდა, ჯაფარიძეს მიაჩნოვს მხო-  
 ლათ სეთი მანეთი და არა მკტი, როგორც ჩანელი წერს. ამ  
 საქმის ნამდვილი გარემოება და რასაც ამ ფაქტის შესახებ გ.  
 ნანელი წამებს ექიმ ჯაფარიძეს, სრულებითარ ეთანხმება ტე-  
 შმარიტებას\*).

ვაჭარი სიმონ გრიგოლის ძე თაბუაშვილი, მოვაჭრე გურასი-  
 ძე გუგუშვილი, ვაჭარი ისიდორე ნიორაძე.  
 დ. ჭიათურა, 11 ივლისი.

II.

ქ-ნო რედაქტორ! გთხოვთ ამ მცირე ბარათს ადგილი  
 დაუთმოდ თქვენ პატივცემულ გაზეთ «კვალის» უმასლობელეს  
 ნომერში. თუ რამდენათ გულშემატკივარნი და თანამგრძობ-  
 ბლენი არიან ზოგიერთნი ჩვენი ექიმები სოფლის გაჭირვებულ  
 ავთომეოფთადმი, ამას ცხადათ გვიჩვენებს ერთი უბრალო შე-  
 მთსევე, რომლის მოწამე, სხვათა შორის, მეც ვიყავი.

ამას წინათ ჩვენი სოფლის მღვდელს გასათხოვარი ქა-  
 ლი ავთ გაუსდა. ექიმი, რასაკვირველია, ოზურტეთიდან მო-  
 იწვია; რომლისათვისაც ეტლის დაჭირვება იყო საჭირო (ესლა  
 იშეათათ, რომ ექიმი ცხენით გაჭევეს ვისმეს ოზურტეთიდან);

\*) სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს ჭიათურელ ვაჭრების წე-  
 რილს, თუმცა ის, რასაც ისინი უარყოფენ, სხვათა შორის იყო და-  
 სახელებელი კორესპონდენციაში და ნაჩვენები. რედ.

მაგრამ რადგანაც სოფ. სამლოში ექისი კრისის მანდელა  
 ეტლი არ უდგება, ავთომეოფის პატრონი იმელებულია ცალ-  
 კე ეტლი დაჭირვოს და ცალკე გზის გადასასვენებლად ცხენით  
 გაცი უნდა იყოლიოს მზათ. დასახელებულმა მღვდელმა მოი-  
 წვია ექიმი ბ. ი. თიანაძე, რომელსაც ავთომეოფის გასინ-  
 ჯვის შემდეგ, როგორც მღვდლის მოკეთებ, მისისავე სურვი-  
 ლით, დავევითეს ბ. ექიმს, თუ რითაა ავთ ავთომეოფი და ან  
 თუ რამე გადამდება ს. დ. ჯაფარიძეს. ამ კითხვაზე სრულიად  
 მოულოდნელათ რამდენიმე პირის თანდასწრებით უნდაწერი  
 სუსი მივიღე..

როცა აქ მან თაგისი საქმე გაათავა, თხოვნით მიმართა  
 ერთმა იქ მეოფმა ავთომეოფმა, რომ ის გასინჯა. მაგრამ მან  
 ამასვე ცივი უარი განაცხადა: «მე მხოლოთ ერთის სანსახათ  
 ვარ მოსულიო». ამასვე ავთომეოფმა უპასუხა: «თუ იმაზე  
 აკვებთ, რომ შრომისათვის ცოტას მიიღებთ, ეს შეგდომსა  
 თქვენი მხრით, მე იმდენს მოგართმევთ, ვითომც ოზურტეთი-  
 დან ხაყუთრათ ჩემთვის გასჯილხართ; თუ ესლა არ მნახეთ,  
 სკალ მანც უნდა შეგაწეროთ და მეტი შრომა მოგოვათო». «უ-  
 მჯობესია სკალ მოვიდე და განსო, ვიდრე ესლაო», უპა-  
 სუხსა ექიმმა და გასწია თავის გზაზე. ამგვარმა საქციელმა  
 ძლიერ გაგავარცა ყველა იქ მეოფნი და გააიძულა ეს კითხვა  
 დაუსვათ: რა მნიშვნელობა აქვს ავთომეოფისათვის რცდაოთ-  
 ხი საათით წინ წამლას მიწრებას, ან რათ ეადვილება თავის  
 თავათ ბ. ექიმს თგრამეტი ვერსის გაკლა ორჯულ და რათ არ  
 ებრალება ავთომეოფის პატრონი, რომელსაც მარტო ერლისა  
 და ცხენის ქიჩა მ. მანეთი მეტი უჯდება და აქ კი ორ წამს  
 გადარჩებოდა თავის საქმეს? ამასთანავე ვთხოვ სსკმ-ის  
 განკვირებლას ის შემთ მოუახილი მის მიერ წარმოთქმუ-  
 ლი უშეკრი სიტყვები რას ნიშნავდენ?

სამლოის სამრევლო სკოლის მასწავლებელი  
 გურასიძე ნაკიძე.

III.

ქ-ნო რედაქტორ! გთხოვთ ამ პაწია შენიშვნას ადგი-  
 ლაუთმოდ «კვალის» უანასკნელ ფურცელზე.

სწორეთ, რომ უბედურ დღეს არის ჩვენი ჩოხატურის  
 უფასო წიგნთ საცავ-სამეითსეველ დაარსებული! დაარსების  
 დღიდან ერთი დღეც არ უოფილა ის ვარგათ. დღეს კი უკა-  
 ნასკნელ მდგომარეობაშია. წიგნები შარშან რომ იყო, იმის  
 ნახევარი არ არის დღეს; 12 საათამდე ბიბლიოთეკარი სამეი-  
 თსეველს არ ალებს: «გამკემ ასე მიბრძანაო». გაღებულს  
 სტოვებს უპატრონოთ და მხოლოთ სადამოს მოაკითხავს და-  
 კეტვის დროს; ვისაც რა სურს, ის მიაქვს სამეითსეველადან  
 და, ერთი სიტყვით, სრული ხალხი მეფობს ჩვენს ბიბლიო-  
 თეკაში. ადგილობრივი მასწავლებლებიც გულანტრუებული არიან  
 და ბიბლიოთეკას ისე უყურებენ, როგორც შედმეტ ელემენტს.  
 ამის შედეგი ის გახლავთ, რომ გამკეთ ბ-ნი გ. მგ — ბა. ბ.  
 მგ — ქეს მოგავრებთ ჩვენ, ერთი კორესპონდენტის არ იყოს,  
 რომ უოველ გაცს აქვს იმის უფლება თავიდან არ ივისროს  
 რამე საქმის შესრულება, მაგრამ იმისი კი არავის, რომ ვერ  
 ივისროს, საზოგადოება დაამედლოს და საქმე კი არ შეასრუ-  
 ლოს.

ბ. ნორა.  
 ჩოხატური, 1901 წ. 15 ივლისი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.